ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

სამშაბათი, 30 აგვისტო, 2011 №205 (5585) ფასი: 30 თეთრი

## შამბა პოლიტიკიდან წავიდა

გვ.2

აფხაზები უკვე საპარლამენტო არჩევნებისთვის ემზადებიან



# ნინო ბურჯანაძე: 26 მაისს ხელისუფლება ჩემი ოჯახის წევრების ლიკვიდაციას აპირებდა

გვ.4



ბიწა ჟ ბურჯანა ის ოჯახის მ ლოლს სასამართლომ განაჩენი გამოუტანა

გვ.3



## რა უჯდება ბიუჯეტს ადეიშვილის შვილის სწავლა

ბათუმის უნივერსიტეტი იყიდება



## სოსო ცინცაძე: ანქვაბისთვის რუსეთის პატრიარქის მილოცვა არაფერს ნიშნავს

გვ.2

გვ.6



4.000 რკინიგზელს სამსახურიდან ათავისუფლებენ

## ქართული პარტია თელავის გამგეობას კორუფციაში ადანაშაულებს



გვ.5

## ნონა გაფრინდაშვილი: ბურჯანაძემ პირად დაცვას იარაღის გამოყენება აუკრძალა

გვ.5

არ შეი ლება უდანაშაულო ადამიანები ციხეში ისხდნენ და გირგვლიანის მკვლელები თავისუფლად დადიოდნენ



## მარჯანიშვილის ქუჩაზე მრავალფუნქციური შენობები აშენდება

გვ.6

3090

sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

## ვერა ქობალია: საქართველო მსოფ-ში რუსეთის გაწევრიანებას არ ეწინააღმდეგება

გვ.4



## რა მდგომარეობაა თბილისის სომხურ სკოლებში

გვ.3

სომეხთა სათვისტომო გიორგი ტუღუშთან ჩივის

ISSN 1987-9385

2 ილია II-ემ ხელოვნების მუზეუმში ანჩისხატთან პარაკლისი გადაიხადა

5 ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები უკვე ცნობილია

2 აფხაზეთში რუს მესაზღვრეებს ახალი ხელმძღვანელი ჰყავთ

6 აჭარაში მაღალმთიანი სოფლების ტურისტული პოტენციალის შესწავლა დაიწყო

# შამბა პოლიტიკიდან წავიდა

## აფხაზები უკვე საპარლამენტო არჩევნებისთვის ემზადებიან

თეა მარხვაი ე

**არჩევნებში დამარცხების შემთხვევაში სერგეი შამბა რევოლუციის მოწყობით იმუქრებოდა. არჩევნებში ის დამარცხდა, თუმცა როგორც ჩანს, რევოლუცია არ იქნება. არ იქნება იმიტომ, რომ სერგეი შამბამ პოლიტიკიდან წასვლა გადაწყვიტა. ამის შესახებ მან განცხადება უკვე გააკეთა.**



— მე პოლიტიკიდან წასვლა გადავიწყვიტე. ასპარეზს ახალგაზრდებს ვუთმობ, — განაცხადა სერგეი შამბამ.

მისმა გადაწყვეტილებამ აფხაზეთში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. არსებული ინფორმაციით, მას ეს გადაწყვეტილება რუსეთმა მიაღებინა, რომელსაც ამ ეტაპზე აფხაზეთში არეულობა არ აწყობდა. მეორე ვარაუდით, კი შამბამ შესვენება გადაწყვიტა და ის საპარლამენტო არჩევნებისთვის მოემზადება. საკანონმდებლო ორგანოს აფხაზები მომავალ წელს აირჩევენ.

შამბამ ჯერჯერობით არ იცის, კონკრეტულად რით დაკავდება. თუმცა გვპირდება, რომ უსაქმურად არ დარჩება.

— ჯერ არ ვიცი, რით ვიქნები დაკავებული, მაგრამ რაიმე საქმეს აუცილებლად გამოვნახავ. მე რამდენიმე პროფესია მაქვს, — დადო პირობა, საპრეზიდენტო არჩევნებში დამარცხებულმა.

სერგეი შამბა 1951 წელს გუდაუთაში დაიბადა. ის პოლიტიკაში 24 წლის ასაკში ჩაება და აქამდე აქტიურობდა. აფხაზეთის საქართველოდან გამოყოფას ის ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში ითხოვდა. ის აფხაზური სეპარატიზმის ერთ-ერთ ფუძემდებლად ითვლება.

მას აფხაზეთის ხელისუფლებაში ყოველთვის მაღალი თანამდებობები ეკავა. ყველაზე დიდი ხნის განმავლობაში ის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე იმყოფებოდა. ეს თანამდებობა მან 2010 წლის იანვარში დატოვა. იმავე წლის 12 თებერვალს ის სერგეი ბაღაფშმა აფხაზეთის პრემიერ-მინისტრად დანიშნა. ეს თანამდებობა მან მიმდინარე წლის ივნისში საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობისთვის დატოვა.

გაპრემიერებამდე მას საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტის ეკავა. ამ თანამდებობაზე ის ვლადისლავ არძინბამ 1997 წლის 7 მაისს დანიშნა. თანამდებობა შამბამ 2004 წლის ივნისში დატოვა. ალსანიშნავია, რომ შამბა არძინბას მოწინააღმდეგე იყო, ამის მიუხედავად მას თანამდებობიდან არ ათავისუფლებდნენ. ალბათ იმიტომ, რომ მას აფხაზებში მაღალი ავტორიტეტი ჰქონდა.

თანამდებობიდან შამბა საკუთარი განცხადების საფუძველზე 2004 წლის 14 ივნისს გადადგა. ამას მაშინ დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა. აფხაზური და რუსული მედია ამ საკითხზე აქტიურად წერდა. მისი გადადგომის მრავალი მიზეზი სახელდებოდა.

მთავარ მიზეზად აფხაზეთში მომხდარი გახმაურებული მკვლელობა დასახელდა. 2004 წლის 8 ივნისს აფხაზეთში გარი აიბა მოკლეს. აიბა აფხაზური ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი იყო. მას სერგეი შამბასთან ერთად პოლიტიკური პარტია ჰქონდა შექმნილი.

აიბას მკვლელობიდან 5 დღის შემდეგ შამბამ თანამდებობა დატოვა. გადადგომის შემდეგ მან რამდენიმე ხმაურიანი განცხადება გააკეთა. ნამინისტრალმა მთელ მთავრობას გადადგომისკენ მოუწოდა. მისი მოწოდება არავინ არ გაითვალისწინა.

ექსპრეტთა ნაწილმა მაშინ თქვა, რომ შამბა თანამდებობას საპრეზიდენტო არჩევნების ხათრით შეელია. საპრეზიდენტო არჩევნები მისი გადადგომიდან რამდენიმე თვეში 2004 წლის 5 ოქტომბერს ჩატარდა.

ამ არჩევნებისთვის შამბა სერიოზულად ემზადებოდა. ის გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატი უნდა ყოფილიყო. იმ პერიოდში გაერთიანებულ ოპოზიციას ვეტერანთა გაერთიანება „ამცახარაც“ შეუერთდა.

გაერთიანებამ საკუთარი პრეზიდენტობის კანდიდატი ყრილობაზე დაასახელა. მაგრამ ეს კანდიდატი შამბა არ ყოფილა. ოპოზიციონერებმა და ვეტერანებმა თავიანთ ფავორიტად სერგეი ბაღაფში დაასახელა.

ეს ექს-მინისტრს ძალიან ეწყინა. ამის მიუხედავად საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღებაზე უარი არ უთქვამს. მან არჩევნებში მესამე ადგილი დაიკავა. შამბას მხარი ამომრჩეველთა 9.9% დაუჭირა.

გამარჯვებულის გამოსავლენად იქ მეორე ტურის ჩატარება გახდა საჭირო. მთავარი ბრძოლა სერგეი ბაღაფშსა და რაულ ხაჯიმბას შორის გაიმართა. მაშინ საქმე კინაღამ სამოქალაქო ომამდე მივიდა. შამბამ შემრიგებლური პოზიცია დაიკავა. თუმცა რაღაცნაირად მაინც ბაღაფშის მხარეს აღმოჩნდა. და არც უნანია.

მეორე ტურში გამარჯვებულმა ბაღაფშმა ის საგარეო საქმეთა მინისტრად 2004 წლის 15 დეკემბერს დანიშნა. ეს თანამდებობა მას 2010 წლის იანვრამდე ეკავა, თებერვალში ის პრემიერ-მინისტრად დაინიშნა.

სერგეი შამბა არის თადარიგის პოლკოვნიკი, აფხაზეთის საბრძოლო ხელოვნების ასოციაციის პრეზიდენტი. ჰყავს ცოლი და ორი შვილი.

აფხაზეთში გამომავალი გაზეთის „ჩეგემსაკია პრავდას“ მთავარი რედაქტორი ინალ ხაშიგი მიიჩნევს, რომ შამბა პოლიტიკიდან მთლიანად არ წავა.

— შამბა ალბათ პოლიტიკიდან წავა, მაგრამ ახალგაზრდები, რომლებიც მის საარჩევნო შტაბში მუშაობდნენ განაგრძობენ ბრძოლას საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებისათვის, რომელიც ერთ წელიწადში უნდა გაიმართოს, — ამბობს ინალ ხაშიგი.

აფხაზეთში საპრეზიდენტო არჩევნები ეს-ესაა დასრულდა. ექსპერტები კი უკვე მომავალ საპარლამენტო არჩევნებზე საუბრობენ, რომელშიც აუცილებლად მიიღებენ მონაწილეობას შამბას მომხრეები. ისინი იმ დროისთვის ალბათ ოპოზიციაში იქნებიან.

შამბას ოპოზიციაში ყოფნის გამოცდილება უკვე აქვს. ის ოპოზიციაში 2004 წელს წავიდა. მისი ოპოზიციონერობა მხოლოდ რამდენიმე თვეს გაგრძელდა.

მომავალ წელს დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებში აუცილებლად მიიღებს მონაწილეობას რაულ ხაჯიმბაც.

ექსპერტები თვლიან, რომ თუ ოპოზიცია საარჩევნო ტაქტიკას სწორად გათვლის, მაშინ შესაძლებელია აფხაზეთში აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი საკანონმდებლო ორგანო შეიქმნას.

აფხაზები ჩვენგან განსხვავებით ბევრად დემოკრატიულ არჩევნებს ატარებენ. ამის ნათელი დადასტურება 26 აგვისტოს ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნებია. ასე რომ, აფხაზურ ოპოზიციას შანსები ნამდვილად აქვს. თუმცა იმასაც გააჩნია, როგორი იპრეზიდენტებს ანქვაბი.

# ილია II-მ ხელოვნების მუზეუმში ანჩისხატთან პარაკლისი გადაიხადა

ანჩისხატობის დღესასწაულთან დაკავშირებით, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II გუშინ ხელოვნების მუზეუმს ეწვია, სადაც სპეციალურიად მსთვის ანჩისხატისა და ხახულის კარედის დამცავი ვიტრინები გახსნეს.პატრიარქმა პარაკლისი გადაიხადა.



რიტუალის დასრულების შემდეგ უწმინდესმა დარბაზში მყოფ მრევლს დღესასწაული მიულოცა და დალოცა.

— განდიდებული წმინდა ხატის მადლი გეწეოდეთ თქვენ და სრულიათ საქართველოს, — ბრძანა პატრიარქმა.

შეგახსენებთ, რომ 29 აგვისტოს, მართლმადიდებლური ეკლესია ხელთუქმნელი ანჩისხატის დღესასწაულს აღნიშნავს.

მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი კონსტანტინოპოლში XIII საუკუნემდე ინახებოდა. XIII საუკუნის დასაწყისში კი მუსულმანებისგან დაცვის მიზნით, სიწმინდე კონსტანტინოპოლიდან საქართველოში, კერძოდ, მთიან კლარჯეთში გადაასვენეს და ანჩის საყდარში დააბრძანეს. იმის გამო, რომ მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი მრავალი საუკუნის მანძილზე ანჩის ტაძარში ესვენა, ანჩისხატი ეწოდა. იგი ამჟამად თბილისში,ხელოვნბის მუზეუმშია დაბრძანებული.

**მედიანიუსი**

# აფხაზეთში რუს მესაზღვრეებს ახალი ხელმძღვანელი ჰყავთ

აფხაზეთში რუს მესაზღვრეებს ახალი ხელმძღვანელი ჰყავთ, - ამის შესახებ სააგენტო „აპსნიპრესი“ იუწყება.

რუსი მესაზღვრეების ძველი უფროსი იური ზვირიკი სერგეი კომარევცევმა შეცვალა.



ორივე მათგანი გუშინ აფხაზეთის ახალარჩეულმა დე-ფაქტო პრეზიდენტმა ალექსანდრე ანქვაბმა მიიღო. მან ზვირიკს მადლობა გადაუხადა სამსახურისთვის და განაცხადა, რომ მისი ხელმძღვანელობით რუსი მესაზღვრეები საკუთარ მოვალეობას ასრულებდნენ. ანქვაბმა ზვირიკი „ახძ-აპშას“ მესამე ხარისხის ორდენითაც დააჯილდოვა.

ახალი დე-ფაქტო პრეზიდენტი კომარევცევსაც მიესალმა და იმედი გამოთქვა, რომ დე-ფაქტო ხელისუფლებასა და რუსი მესაზღვრეების ხელმძღვანელობას შორის თანამშრომლობა გაგრძელდება.

**ინტერპრესნიუსი**

# სოსო ცინცაძე: ანქვაბისთვის რუსეთის პატრიარქის მილოცვა არაფერს ნიშნავს



პოლიტოლოგ სოსო ციცნცაძის განცხადებით, რუსეთის პატრიარქის მხრიდან ოკუპირებული აფხაზეთის ახლად არჩეული პრეზიდენტისთვის მილოცვა გასაკვირი სულაც არ იყო, რადგან მან წინა პრეზიდენტს სერგეი ბაღაფშაც მიულოცა მეორედ არჩევა და წარმატება უსურვა. პოლიტოლოგის თქმით, მაშინ უფრო მიუღებელი მილოცვის ტექსტი იყო, რაზეც საქართველოს საპატრიარქომ თავისი მწვავე პოზიცია დააფიქსირა. შემდეგ რუსეთის პატრიარქმა მოიბიდიშასავით, მილოცავში სულაც არ იგულისხმებოდა, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას ვაღიარებთო.

— ახლაც იგივე მოხდა. ვერსად გავექცევით: რუსული ეკლესია რუსულ პოლიტიკაზეა მიბმული. თუმცა უნდა ითქვას, რომ რუსული ეკლესია მაინც უფრთხილდება ქართულ ეკლესიასთან ურთიერთობას და ყველაზე მოძმე ეკლესიად თვლის. ყველასთან პრობლემები აქვს — ბერძნულ ეკლესიასთან, იერუსალიმთან, უკრაინასთან, და საქართველოსთან ურთიერთობას აღარ გაამწვავებს. ეს მილოცვა ისეთს არაფერს ნიშნავს. მთავარია, რამე კონკრეტული ნაბიჯი არ გადადგას, რაც ნაკლებად მოსალოდნელი მგონია. კირილი ცდილობს, არც მწვადი დაწვას და არც შამფური. თან ახლა უკრაინულ ეკლესიასთან პრობლემების გამო, საქართველოსთვის ნაკლებად სცალია,— აღნიშნა „მედიანიუსთან“ საუბრისას სოსო ცინცაძემ.

**მედიანიუსი**

# გოგა ხაჩიძეს ჩეხი კოლეგა ეწვია



საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს ჩეხეთის გარემოს დაცვის მინისტრი ტომას ხაპულა ოფიციალური ვიზიტით ეწვია და გოგა ხაძიძეს შეხვდა.

როგორც „მედიანიუსს“ სამინისტროდან აცნობეს, შეხვედრაზე ჩეხეთის დელეგაცია ქართულ გარემოს დაცვის სისტემას და მის მიმდინარე საქმიანობას გაეცნო. ტომას ხაპულას ვიზიტი იმ თანამშრომლობის გაგრძელების დამადასტურებელია, რომელიც საქართველოსა და ჩეხეთს შორის წლებია მიმდინარეობს.

ვიზიტის ფარგლებში ორი ქვეყნის გარემოს დაცვის სამინისტროებს შორის გარემოს დაცვის საკითხებში თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმი გაფორმდა, რომელიც პრალაში გოგა ხაჩიძის ვიზიტის დროს დასახული მიზნების და გეგმების განხორციელებას უზრუნველყოფს.

ჩეხეთის დელეგაციის ვიზიტი 2 დღე გაგრძელდება.

**მედიანიუსი**

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

**დამფუძნებლები:** ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
**მთავარი რედაქტორი** – სოსო გოგინაშვილი
**რედაქტორი** – ლალი ასლანიშვილი
**რედაქტორის მოადგილე** – შორენა მარსაგიშვილი

**კონსულტანტები**
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
**საფინანსო სამსახური** – კლარა ბალავაძე

**სარეკლამო სამსახური** – 84-92-55
**გავრცელების სამსახური** – მერაბ ლევერაშვილი
**დირექტორი** – ზურაბ ბერიძე

**დაკაბადონება** – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

**მისამართი:** ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
**ტელეფონი/ფაქსი** 94-39-34
**ვებ-გვერდი** www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# რა უჯდება ბიუჯეტს ადეიშვილის შვილის სწავლა

## ბათუმის უნივერსიტეტი იყიდება

შორენა კოწოწაშვილი

**ლეიბორისტები განათლების სისტემაში არსებულ მდგომარეობას უმძიმესად აფასებენ და სააკაშვილის მთავრობას განათლების სისტემის მიზანმიმართულ დისკრედიტება-განადგურებაში ადანაშაულებენ. შრომის პარტიაში მიაჩნიათ, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები თავიანთი შვილების განათლებაში უზარმაზარ თანხებს ხარჯავენ და რიგითი ადამიანების შვილებისთვის კი სწავლის მიღება მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო ფაქტობრივად ხელმიუწვდომელია.**



სწორედ მაღალჩინოსანთა შვილების სწავლა-განათლებას და ამ მიზნით დახარჯულ ათიათასობით ლარზე იყო საუბარი გუშინ ლეიბორისტულ პარტიაში, სადაც ფიქრობენ, რომ სააკაშვილი განათლების სისტემას მიზანმიმართულად ანგრევს და უნდა ქართველი ერი მომსახურე ერად აქციოს.

— სააკაშვილმა და მისმა ბანდიტურმა რეჟიმმა ჩვენს შვილებს მოუსპო სწავლის და განათლების მიღების საშუალება. მსგავსი პრობლემები უცხოა ხელისუფლების წევრთა შვილებისათვის. ისინი განათლებაში ყოველწლიურად იხდიან 5, 10 და 20 ათას დოლარებს და რაც მთავარია, ისინი არ სწავლობენ ქართულ სასწავლებლებში. სამაგიეროდ, უცხოური სასწავლებლები სავსეა ქართველი მაღალჩინოსნების შვილებით, რომლებიც ემზადებიან მისათვის, რომ მოგვევლინონ ჩვენი შვილების ბატონებად, — განაცხადა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ლეიბორისტული პარტიის გენერალურმა მდივანმა სოსო შატბერაშვილმა და კიდევ ერთხელ დაგმო სააკაშვილის და მისი ხელისუფლების მიერ განათლების კუთხით განხორციელებული რეფორმა.

— მოვითხოვთ, მოხდეს ხელისუფლების წევრთა შვილების ლუსტრაცია და მათ კანონით დაევალოთ ქონებრივი დეკლარაციის შევსებისას მიუთითონ შვილების სასწავლებელი გადასახადის ოდენობის ჩვენებით. გარდა ამისა, მოვუწოდებით მოქალაქეებს და ვთხოვთ, გვაცნობონ ასეთი ფაქტების შესახებ, — განაცხადა სოსო შატბერაშვილმა და პარტიის საკონტაქტო ტელეფონები დაასახელა.

რაც შეეხება იმას, თუ რამ განაპირობა ლეიბორისტული პარტიის მხრიდან აქცენტის გაკეთება მაინცდამაინც მაღალჩინოსანთა შვილების სწავლა-განათლებაზე და მათი სწავლის ღირებულებაზე, როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, მოახლოვდა სწავლის დაწყების ეტაპი და უამრავი ბავშვი რჩება არა მხოლოდ საშუალო განათლების მიღების გარეშე, არამედ საბავშვო ბაღებში სიარულიც მოუსპო ამ ხელისუფლებამ ბავშვებს.

— უმაღლეს სასწავლებლებში პრაქტიკულად კონკურსი აღარ არის. იმიტომ, რომ ბევრი უარს ამბობს უმაღლესი განათლების მიღებაზე იმის გამო, რომ კატასტროფული ფასებია. ზოგან სწავლა 10-20 ათასი ლარია. ვერ იხდის ჩვენი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი განათლებაში ამხელა თანხებს. რაც შეეხება სკოლებს, მართალია, ჩვენი მეცადინეობით ისევ უფასო დარჩა, მაგრამ სახელმძღვანელოები იმდენად ძვირია და იმდენად ძვირია ტრანსპორტი, რომ მოსწავლეებისთვის ძალიან მძიმეა შორ მანძილზე გადაადგილება უტრანსპორტოდ, — განაცხადა სოსო შატბერაშვილმა.

მან ორი კონკრეტული ფაქტი დაასახელა იმის სადემონტრაციოდ, თუ რა თანხებს ხარჯავენ სააკაშვილი და მისი მაღალჩინოსნები საკუთარი შვილების განათლებაში.

— მიხეილ სააკაშვილის შვილი სწავლობს არა რომელიმე ქართულ სასწავლებელში, არამედ ამერიკულ აკადემიაში, სადაც წელიწადში გადასახადი არის 20 000 ევრო. მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილი არის მილიარდერი, ამ გადასახადს ის არ იხდის. მან თავისი შვილი შეაყვანინა გინესის რეკორდსმენთა წიგნში, ვითომდა აიფონში ინგლისური ანბანის ყველაზე სწრაფად აკრეფისთვის. საქმე ისაა, რომ გინესის რეკორდსმენ ბავშვებს სასწავლებლის გადასახადისგან ათავისუფლებენ. წარმოიდგინეთ, კაცი, რომელიც არის მილიარდერი, შვილისთვის ფულის გადახდა არ უნდა და ამიტომ შვილი გინესის წიგნში შეაყვანინა, — აღნიშნა შატბერაშვილმა და მეორე მაგალითად ზურაბ ადეიშვილის შვილის სწავლა-განათლებისთვის ბიუჯეტიდან გაღებული თანხები დაასახელა.

— ადეიშვილის შვილი სწავლობს დიდ ბრიტანეთში. მისი სწავლის საფასურის დასაფარად წელიწადში ჩვენი ბიუჯეტი იხდის 50 000 გირვანქა სტერლინგს. იმ დროს, როდესაც ჩვენი ნიჭიერი ბავშვები უფულობის გამო განათლების მიღებაზე უარს ამბობენ და დაბალი კვალიფიკაციის სამუშაოს ასრულებენ გადასახადის არქონის გამო, მაღალჩინოსნები კოლოსალურ თანხებს ხარჯავენ ბიუჯეტიდან საკუთარი შვილების განათლებაში, — აღნიშნა სოსო შატბერაშვილმა და საზოგადოებას მოუწოდა, ვისთვისაც ცნობილია კონკრეტული ფაქტები, რომელიც მაღალჩინოსნის შვილი რომელ უმაღლეს სასწავლებელში სწავლობს და რამდენს იხდის, ლეიბორისტული პარტიის ხელმძღვანელობას აცნობოს და ეს ფაქტები გახდება საჯარო.

— უამრავი ფაქტია ასეთი, მაგრამ ჩვენ საილუსტრაციოდ მხოლოდ ეს ფაქტი მოვიყვანეთ. აუცილებელია ამ მაღალჩინოსნების ლუსტრირება მოხდეს და ხალხმა იცოდეს, რა თანხები იხარჯება ხელისუფლების წარმომადგენლების შვილების განათლებაში, — განაცხადა სოსო შატბერაშვილმა.

რაც შეეხება იმას, თუ რატომ ფიქრობს ლეიბორისტული პარტიის გენერალური მდივანი, რომ „ჩაწყობით“ მოხვდა სააკაშვილის შვილი გინესების წიგნში, ამაზე თავად შატბერაშვილს თავისებური ახსნა აქვს.

ნათელაშვილის თანაგუნდელი აცხადებს, რომ სანამ სააკაშვილი საკრებულოს თავმჯდომარე იყო ანუ პრეზიდენტობამდე მისი შვილი, მისი ოჯახის წევრები და ახლობლები განსაკუთრებული ნიჭით არ გამოირჩეოდნენ. როგორც კი პრეზიდენტი გახდა, შვილის გინესების რეკორდსმენი გახდა და ოჯახის წევრებიც წარმატებული ბიზნესმენები გამოდგნენ. მისი მეუღლეს ნიჭიერი მედდა გამოდგა და ახლა ექიმობაზე გამოდო თავი. მისი სიდედრი და სიმამრიც ნიჭიერები აღმოჩნდნენ და ყვითელი ავტობუსები მათი შემოიყვანეს საქართველოში ჰოლანდიიდან.

***— ბატონო სოსო, როგორ ხვდება ხელისუფლება და საგანმანათლებლო სფერო ახალ სასწავლო წელს. რა ინფორმაციები გაქვთ?***

*ითქვა, რომ სკოლების პარალელურად უმაღლესი სასწავლებლების გაყიდვაც იგეგმება.*

— მინდა მოგახსენოთ, რომ გაყიდულია ტექნიკური უნივერსიტეტის უამრავი კორპუსი. ამას დაუპატრონა სააკაშვილის დედა, გიული ალასანია. შეიძლება ტექნიკური უნივერსიტეტის ერთი ან ორი კორპუსი დარჩეს სახელმწიფოს გამგებლობაში და მერე ალბათ იმისიც გაიყიდება. ასევე ლაპარაკი მიდის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კორპუსების გაყიდვაზე. რაც შეეხება სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის კორპუსებს, სპორტის აკადემიას, ზოოვეტს და ა.შ., ესენი უკვე გაიყიდა. ლაპარაკი მიდის სამხატვრო აკადემიის, კონსერვატორიის და თეატრალური ინსტიტუტების გაერთიანებაზე. ერთ შენობაში შეყრიან მათ და დანარჩენს — კონსერვატორიის უნიკალურ შენობას და თეატრალური ინსტიტუტის უნიკალურ შენობას, რომლებიც დედაქალაქის ცენტრში მდებარეობს, გაყიდიან. მათ ყველას სამხატვრო აკადემიის შენობაში გადაიყვანენ. ანუ ეს შენობები იყიდება. თვითონ სამხატვრო აკადემიაშიც რაღაც სასაწაული კანონდარღვევები ხდება.

***— რას გულისხმობთ?***

— რექტორად ნიშნავენ 75 წლის გოგი ალექსი-მესხიშვილს. ეს არის კანონის დარღვევა. ამ ხელისუფლების მიერ მიღებული კანონის თანახმად, 65 წლის ზევით მოქალაქეს არ შეუძლია დაიკავოს აკადემიური თანამდებობა. როგორც ხედავთ, აქაც რასაც უნდა, იმას აკეთებენ. მოკლედ, საშინელი განუკითხაობა სუფევს უმაღლეს სასწავლებლებში.

***— მართალია ინფორმაცია, რომ ბათუმის უნივერსიტეტს გაყიდვას უპირებენ?***

— მართალია, ბათუმის უნივერსიტეტსაც ყიდიან, რომელიც ასლან აბაშიძემ უმაღლეს დონეზე გაარემონტა. სორბონის უნივერსიტეტის მსგავსად არის ბათუმის უნივერსიტეტი გარემონტებული და აღჭურვილი. მის ადგილას სასტუმროს გახსნას აპირებენ. სასწავლებლების მსგავსად უამრავი სკოლა გაყიდეს. წელს რუსული სკოლები დახურეს და ბავშვები არდადაგებიდან რომ დაბრუნდებიან, სკოლები გაყიდული დახვდებათ. საერთოდ, 500-მდე სკოლა დაიხურა და საკმაოდ ბევრი ბაგა-ბაღის შენობაც გაიყიდა.

# რა მდგომარეობაა თბილისის სომხურ სკოლებში

## სომეხთა სათვისტომო გიორგი ტუღუშთან ჩივის

თეა მარხვაიძე

**სომხეთში გასულ წელს საქართველოში არსებული სომხური სკოლების გარშემო დიდი ამბები იყო ატეხილი. ამ თემაზე განსაკუთრებით აქტიურობდა დეპუტატი შირაკ ტოროსიანი, რომელიც წარმოშობით ახალქალაქიდან არის. იქ საქართველოში სომხური სკოლების გაუქმებას აპროტესტებდა.**

მისი თქმით, საქართველოს ხელისუფლება მიზანმიმართულად აუქმებს სომხურ სკოლებს. ტოროსიანი იმასაც ამტკიცებდა, რომ სააკაშვილის რეჟიმი სომხურ ენას დევნის. სომეხი დეპუტატისთვის მიუღებელია ის ფაქტი, რომ სომხებით დასახლებულ ჯავახეთის რეგიონში საქმეთა წარმოება სახელმწიფო ენაზე ანუ ქართულად მიმდინარეობს.

საქართველოში ბოლო პერიოდში ათეულობით სკოლა გაუქმნა. მათ შორის სომხური სკოლებიც. თუმცა არა იმის გამო, რომ ისინი სომხური სკოლები იყო. ტოროსიანის პროტესტი სულ სხვა რამით იყო გამოწვეული. მან ეს აჟიოტაჟი სომხეთში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ვიზიტისას ატეხა. სომხური სკოლების ბედზე რომ ყოფილიყო შეწუხებული, ის მოსკოვის მიღებულ გადაწყვეტილებასაც გააპროტესტებდა.

რუსეთის განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებით მოსკოვში მოქმედი ერთადერთი სომხური სკოლა გააუქმეს. ამაზე ხმა არავინ ამოიღო. საქართველოზე კი ისტერიკა ატეხეს. არადა, აქ ათეულობით სომხური სკოლა ფუნქციონირებს.

სომხურ სკოლებთან დაკავშირებული ისტერია დროებით მინელდა. ამ საკითხთან დაკავშირებით რამდენიმე თვის განმავლობაში არანაირი განცხადება არ გაკეთებულა. ამ დღეებში ეს თემა ისევ აქტუალური გახდა. ოღონდ სხვა კუთხით.

ამჯერად თავი ტოროსიანს აღარ გაუნერვიულებია. პროტესტი საქართველოს სომეხთა სათვისტომომ გამოხატა. როგორც „მედიანიუსი“ იუწყება, აღშფოთებულმა სათვისტომომ სახალხო დამცველს სომხურენოვანი სკოლების დისკრიმინაციის დოკუმენტაცია გადაუგზავნა.

როგორც სათვისტომოში ამბობენ, მათ სახალხო დამცველს თბილისის №103 საჯარო სკოლის სომხურენოვან სექტორში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით მიმართეს.

საქართველოს სომეხთა სათვისტომო მოუწოდებს საქართველოს სახალხო დამცველს ყურადღება მიაქციოს და შეისწავლოს „საქართველოს სომეხთა სათვისტომოს მიერ დაფიქსირებული მრავალრიცხოვანი დისკრიმინაციის ფაქტები, ჩადენილი სკოლის დირექციის მიერ“. საქართველოს სომეხთა სათვისტომო ასევე ითხოვს სექტორში შექმნილი სიტუაციის შესწავლას და საჭირო ზომების მიღებას.

სათვისტომოს განცხადებაში ნათქვამია, რომ 2010-2011 სასწავლო წლებში საქართველოს სომეხთა სათვისტომო მონიტორინგს ახორციელებდა ქ.თბილისის №103 საჯარო სკოლის სომხურენოვან სექტორში. საქართველოს სომეხთა სათვისტომოს მიერ დაფიქსირებულია სკოლის დირექციის მიერ სექტორის დისკრიმინაციის და ადამიანის უფლებების დარღვევის მრავალი ფაქტი.

სათვისტომომ გადაუგზავნა საქართველოს სახალხო დამცველს მთელი მოპოვებული დოკუმენტაცია და მის მიერ შეგროვებული დისკრიმინაციის ფაქტები, დაფიქსირებული თბილისის №103 საჯარო სკოლის სომხურენოვან სექტორში. საქართველოს სომეხთა სათვისტომო იმედს გამოთქვამს, რომ დოკუმენტაცია დაეხმარება სახალხო დამცველს საკითხის შესწავლაში. მიმართვაში ნათქვამია, რომ სომხურენოვანი სექტორის დისკრიმინაციის გარდა, სკოლის დირექციის მიერ დაშვებულია აგრეთვე მრავალი სხვა ადმინისტრაციული, ფინანსური, ეთიკური და სხვა დარღვევები.

მიმართვაში აგრეთვე ჩამოთვლილია სკოლის დირექციის მიერ ჩადენილი დისკრიმინაციის ფაქტები.

როგორც ჩანს, სათვისტომო მარტო გიორგი ტუღუშის იმედად არ აპირებს დარჩენას. მათ მიმართვის ასლები პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრს, პარლამენტის თავმჯდომარეს, განათლებისა და მეცნიერების მინისტრს, გაეროს და ევროკავშირის საქართველოს წარმომადგენლობებს გადაუგზავნეს.



სათვისტომოში აცხადებენ, რომ მათ წარსულში არაერთხელ მიუმართავთ წერილებით და მოუწოდებიათ საქართველოს სახალხო დამცველისა და საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროსათვის ყურადღება მიაქციონ და შეწყვიტონ ქ.თბილისის საჯარო სკოლებში სომხურენოვანი სექტორების დისკრიმინაცია. მაგრამ ამ დაწესებულებების მხრიდან არ არის არანაირი რეაქცია, ხოლო სიტუაცია სკოლებში უფრო უარესდება.

საქართველოს სომეხთა სათვისტომო იმედს გამოთქვას, რომ საქართველოს სახალხო დამცველის მიერ შესწავლილ იქნება თბილისის №103 საჯარო სკოლის სომხურენოვან სექტორში დისკრიმინაციის ყველა დაფიქსირებული ფაქტები და შესაბამისი ზომები იქნება მიღებული.

სათვისტომოს მიერ შერისხული სკოლის ხელმძღვანელობა ბრალდებებს უსაფუძვლოს უწოდებს. ამ საკითხთან დაკავშირებით სკოლის ხელმძღვანელობა განცხადების გაკეთებას უახლოეს მომავალში გეგმავს.

### 25 სექტემბერს ახალი პოლიტიკური პარტიის პრეზენტაცია გაიმართება

25 სექტემბერს თბილისში ახალი პოლიტიკური პარტიის პრეზენტაცია გაიმართება.

პარტია, რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელი რუსეთის ფედერაციაში მცხოვრები ქართველი ბიზნესმენი მინდია გულუაა, დამფუძნებელ ყრილობას ოქტომბერში ჩაატარებს.

საინიციატივო ჯგუფის წევრებმა ბოლო შეხვედრა სტამბოლში გასულ კვირას გამართეს, სადაც საქართველოდან 45-წევრიანი დელეგაცია იყო ჩასული.

პარტიის დასახელებაზე და სლოგანზე მუშაობა მსოფლიოში ერთ-ერთმა წამყვანმა პიარკომპანიამ თითქმის დაასრულა.

როგორც პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი მინდია გულუა აცხადებს, „ეს ცენტრისტული პარტია იქნება, რომელიც საკუთარი ადგილის დაკავებას პოლიტიკურ სივრცეში მხოლოდ მშვიდობიანი არჩევნების გზით გეგმავს“.

თავად მინდია გულუა აღნიშნულ პარტიასთან თანამშრომლობას გეგმავს, თუმცა მისი წევრი არ იქნება.

ახალი პარტია 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებშიც მიიღებს მონაწილეობას და ქართულ საზოგადოებას ბევრ სიურპრიზს ჰპირდება.

**პირველი**

# ნინო ბურჯანაძე: 26 მაისს ხელისუფლება ჩემი ოჯახის წევრების ლიკვიდაციას აპირებდა

### ბიწა ე-ბურჯანა ის ოჯახის მ ღოლს სასამართლომ განაჩენი გამოუტანა

შორენა გონგლა ე

**თბილისის საქალაქო სასამართლომ ბადრი ბიწა ის ოჯახის მ ღოლის, შაქრია ზურაშვილის მიმართ საქმის განხილვა დაასრულა. როგორც ცნობილია, 2911 წლის 26 მაისს, შაქრია ზურაშვილი, რომელიც იყო ბადრი ბიწა ის ოჯახის მ ღოლი, მონაწილეობას იღებდა თბილისში, პარლამენტის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე სახალხო კრების მიერ ორგანიზებულ აქციაში.**

სასამართლოს ინფორმაციით, ღია სასამართლო სხდომაზე, საქმის არსებითი განხილვისას შაქრია ზურაშვილმა თავი დამნაშავედ არ ცნო, თუმცა მის მიმართ წარდგენილი ბრალდება უტყუარად იქნა დადასტურებული გამოკვლეული მტკიცებულებებით. კერძოდ, მოწმეთა ჩვენებებით, სასამართლო სხდომაზე ექსპერტიზის მიერ მიცემული ჩვენებებით შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმებით და საქმეში არსებული სხვა მასალების ერთობლიობით.

გამოტანილ განაჩენზე გუშინვე მთავარმა პროკურატურამ სპეციალური განცხადება გაავრცელა, სადაც ნათქვამია, რომ: „2011 წლის 26 მაისს რუსთაველის გამზირზე მყოფ პირთა სიცოცხლის მოსპობასა და ჯანმრთელობის დაზიანების დანაშაულებში ბრალდებული შაქრია ზურაშვილსა და ივანე ჩიღვინაძის მიმართ სამართალწარმოება დასრულდა. საქმის არსებითად განხილვის შედეგად, თბილისის საქალაქო სასამართლოს 17 აგვისტოს განაჩენით შაქრია ზურაშვილს 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა, მას ბრალად ედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებაში მსხვერპლის სამსახურებრივ საქმიანობასთან ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით საზოგადოებრივი წესრიგის დამცველის მიმართ წინააღმდეგობა და ძალადობა.

საზოგადოებრივი წესრიგის დამცველის მიმართ წინააღმდეგობასა და ძალადობაში ასევე ნივთის დაზიანების ან განადგურებაში ბრალდებულ ივანე ჩიღვინაძეს კი 2011 წლის 16 აგვისტოს, ზემოთ ხსენებული ორი დანაშაულის ჩადენისათვის თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ საქმის არსებითად განხილვის შედეგად, მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა ექვსი წლის ვადით, რაც შეეხება მის მიერ დამატებით ჩადენილ ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანებას, მსხვერპლის სამსახურებრივ საქმიანობასთან ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით. ასევე საზოგადოებრივი წესრიგის დამცველის მიმართ წინააღმდეგობასა და ძალადობის მეორე ეპიზოდს 2011 წლის 25 აგვისტოს ივანე ჩიღვინაძის მიერ დანაშაულის ამ ეპიზოდის აღიარების და გამოძიებასთან თანამშრომლობის შედეგად, მასთან გაფორმდა საპროცესო შეთანხმება, რის საფუძველზეც ივანე ჩიღვინაძის სასამართლოს განაჩენით მიესაჯა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა და 5 წელი პირობითი მსჯავრი.



პროკურატურის ინფორმაციით, ხუთმა ბრალდებულმა ჩადენილი დანაშაული აღიარა და საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე იშუამდგომლა — ამის საფუძველზე თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2011 წლის 28-29 ივლისს დამტკიცებულ იქნა საპროცესო შეთანხმებები შემდეგ სასჯელებზე: ამირან მერებაშვილს პირველი ეპიზოდი 3 წლით თავისუფლების აღკვეთა და 5 წელი პირობითი მსჯავრი, ასევე ჯარიმა 1000 ლარი ბრალისათვის გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 118-ე მუხლის მე-3 ნაწილით (ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება), 120-ე მუხლი (ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება), 125-ე მუხლის პირველი ნაწილი (ცემა ან სხვაგვარი ძალადობა), 353-ე მუხლის მე-2 ნაწილი (პოლიციის მუშაკის მიმართ წინააღმდეგობა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის ხელის შეშლის, მისი საქმიანობის შეწყვეტის და შეცვლის მიზნით ჩადენილი ძალადობით ჯგუფურად). მეორე ეპიზოდი— 1 წლით თავისუფლების აღკვეთა ბრალისათვის გათვალისწინებული სსსკ-ის 353-ე მუხლის პირველი ნაწილი (პოლიციის მუშაკის მიმართ წინააღმდეგობა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის ხელის შეშლის, მისი საქმიანობის შეწყვეტის და შეშლის მიზნით ჩადენილი ძალადობით). სულ ამირან მერებაშვილს განესაზღვრა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა და 5 წლით პირობითი მსჯავრი.

2. ალექსანდრე ბიბილურს პირველი ეპიზოდი — 7 წლით თავისუფლების აღკვეთა და 5 წელი პირობითი მსჯავრი ბრალისათვის გათვალისწინებული სსსკ-ის 117-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტით და მე-4 ნაწილით (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება მსხვკრპლის სამსახურებრივი საქმიანობის შესრულებასთან დაკავშირებით, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა), 353-ე მუხლის მე-2 ნაწილი (პოლიციის მუშაკის მიმართ წინააღმდეგობა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის ხელის შეშლის, მისი საქმიანობის შეწყვეტის და შეცვლის მიზნით, ჩადენილი ძალადობით ჯგუფურად), მეორე ეპიზოდი 1 წლით თავისუფლების აღკვეთა ბრალისათვის გათვალისწინებული სსსკ-ის 353-ე მუხლის პირველი ნაწილით (პოლიციის მუშაკის მიმართ წინააღმდეგობა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის ხელის შეშლის მისი საქმიანობის შეწყვეტის და შეცვლის მიზნით ჩადენილი ძალადობით), სულ ალექსანდრე ბიბილურს განესაზღვრა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა და 5 წელი პირობითი მსჯავრი.



3. ნიკოლოზ ზაუტაშვილს პირველი ეპიზოდი — 7 წლით თავისუფლების აღკვეთა და 5 წელი პირობითი მსჯავრი, ასევე ჯარიმა 1000 ლარი ბრალისათვის გათვალისწინებული სსსკ-ის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილით (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა) 120-ე მუხლი (ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება), 125-ე მუხლის პირველი ნაწილი (ცემა ან სხვაგვარი ძალადობა). 353-ე მუხლის მე-2 ნაწილი (პოლიციისათვის მუშაკის მიმართ წინააღმდეგობა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის ხელის შეშლის, მისი საქმიანობის შეწყვეტის და შეცვლის მიზნით, ჩადენილი ძალადობით ჯგუფურად), მეორე ეპიზოდი-1 წლით თავისუფლების აღკვეთა ბრალისათვის გათვალისწინებული სსსკ-ის 353 -ე მუხლის პირველი ნაწილი (პოლიციის მუშაკის მიმართ წინააღმდეგობა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის ხელის შეშლის, მისი საქმიანობის შეწყვეტის და შეცვლის მიზნით, ჩადენილი ძალადობით). სულ ნიკოლოზ ზაუტაშვილს განესაზღვრა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა და 5 წელი პირობითი მსჯავრი.

4. კობა კობაურს პირველი ეპიზოდი 3 წლით თავისუფლების აღკვეთა და 5 წელი პირობითი მსჯავრი ბრალისათვის გათვალისწინებული სსსკ-ის 117-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტით (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება მსხვერპლის სამსახურებრივი საქმიანობის შესრულებასთან დაკავშირებით) 353-ემუხლის მე-2 ნაწილი (პოლიციის მუშაკის მიმართ წინააღმდეგობა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის ხელის შეშლის, მისი საქმიანობის შეწყვეტის და შეცვლის მიზნით, ჩადენილი ძალადობით ჯგუფურად), მეორე ეპიზოდი-1 წლით თავისუფლების აღკვეთა ბრალისათვის გათვალისწინებული სსსკ-ის 353-ემუხლის პირველი ნაწილით (პოლიციის მუშაკის მიმართ წინააღმდეგობა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის ხელის შეშლის, მისი საქმიანობის შეწყვეტის და შეცვლის მიზნით, ჩადენილი ძალადობით), სულ კობა კობაურს განესაზღვრა 4 წლით თავითუფლების აღკვეთა და 5 წელი პირობითი მსჯავრი.

5. ილია ზივზივაძეს 2 წლით თავისუფლების აღკვეთა და 5 წელი პირობითი მსჯავრი ბრალისათვის გათვალისწინებული სსსკ-ის 117-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტით (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, მსხვერპლის სამსახურებრივი საქმიანობის შესრულებასთან დაკავშირებით) და 353-ე მუხლის მე-2 ნაწილი (პოლიციის მუშაკის მიმართ წინააღმდეგობა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის ხელის შეშლის, მისი საქმიანობის შეწყვეტის შეცვლის მიზნით ჩადენილი ძალადობით, ჯგუფურად). ილია ზივზივაძეს სულ განესაზღვრა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა და 5 წელი პირობითი მსჯავრი“, — ნათქვამია პროკურატურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებას „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე გამოეხმაურა. ბურჯანაძის განცხადებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ მასალებს კომპიუტერულ გრაფიკაზე აგებულ „შემოქმედებას“ უწოდებს, რასაც რეალობასთან საერთო არაფერი აქვს.

საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსთან“ საუბარში ბურჯანაძე აღნიშნავს, რომ ხელისუფლება კიდევ ერთხელ ტყუის და ცილისმწამებლურ კამპანიას აგრძელებს. მისივე განცხადებით, ხელისუფლების მიერ დღეს გაკეთებული განცხადებები აბსოლუტურად უსუსურია. — დღევანდელი მასალები კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ხელისუფლების მთელი ბრალდებები აგებულია სიყალბეზე, ვითომდა აღიარებით ჩვენებებზე, ძალიან მაინტერესებს, რატომ არ გაგვცა პასუხი პროკურატურამ და შინაგან საქმეთა სამინისტრომ სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნაზე და საერთოდ, რატომ არ არის ეს დასკვნა ნახსენები, — აცხადებს ბურჯანაძე.

როგორც დემოკრატიული მოძრაობის ლიდერმა აღნიშნა, ყველამ ძალიან კარგად იცის, რომ კომპიუტერით რისი დახატვაც გინდა, ყველაფრის დახატვა შეიძლება. მისი თქმით, არც ერთი დამამტკიცებელი საბუთი შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურას არ გააჩნია, გარდა პოლიციელების ჩვენებისა და მძღოლის აღიარებისა, თითქოსდა პოლიციისათვის წინააღმდეგობის გაწევის ბრალდებით.

— ერთი წამითაც რომ დავუშვათ, თითქოსდა ყველაფერი ისე იყო, როგორც შინაგან საქმეთა სამინისტრო ამბობს, მანქანები ტოვებდნენ მოედანს, რატომ არ გვაძლევდა გასვლის საშუალებას პოლიციის კორდონი, რომელიც ნაჩვენებია მათ მიერვე გავრცელებულ მასალებში, რატომ გადაკეტეს გზები? იმიტომ, რომ სააკაშვილის ბრძანება შეესრულებინათ ჩემი და ჩემი ახლობლების ლიკვიდაციის ან დაინვალიდების თაობაზე.

ბურჯანაძე დარწმუნებულია, რომ მალე მოვა ქვეყანაში ის დრო, როცა საზოგადოება სიმართლეს გაიგებს.

## თბილისის საქალაქო სასამართლოს პრესსამსახურის განცხადება

თბილისის საქალაქო სასამართლომ დაასრულა სისხლის სამართლის საქმის განხილვა ივანე ჩიღვინაძის მიმართ, რომელსაც ბრალად ედებოდა პოლიციის მუშაკის მიმართ წინააღმდეგობა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის ხელის შეშლის, მისი საქმიანობის შეწყვეტის და შეცვლის მიზნით, ჩადენილი ძალადობით, ჯგუფურად. მანვე ჩაიდინა ჯამრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება, რომელიც სიცოცხლისთვის სახიფათო არ არის, ჩედენილი საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოების არსებობისას.საქმის მასალების მიხედვით:

2011 წლის 25 მაისს, ივანე ჩიღვინაძე მონაწილეობას ღებულობდა ქალაქ თბილისში, პარლამენტის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე, საზოგადოებრივი მოძრაობა „სახალხო კრების“ მიერ ორგანიზებულ აქციაში, რომელიც ადგილობრივი მმართველობის ორგანოების მიერ სანქციონირებული იყო 2011 წლის 25 მაისის 24:00 საათამდე. მიუხედავად იმისა, რომ აქციის მონაწილეები მმართველობის ორგანოების მიერ განსაზღვრული ვადის გასვლისას იმყოფებოდნენ პარლამენტის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე და მონაწილეობას ღებულობდნენ არასანქციონირებულ აქციაში, მათი მიმართულებით წასული სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების დანახვაზე აქციის მონაწილეების ნაწილმა, მათ შორის ივანე ჩიღვინაძემ, მიიღეს გადაწყვეტილება დაეტოვებინათ პარლამენტის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე ტერიტორია. ივანე ჩიღვინაძე სხვა პირებთან ერთად ჩაჯდა მისი მართვის ქვეშ მყოფ თეთრი ფერის „ტოიოტა-ლენდკრუიზერი“-ს მარკის ავტომანქანაში და მეტროსადგურ თავისუფლების მოედნის მიმართულებით გაემართა. აღნიშნული მიმართულებით საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით პოლიციის თანამშრომლები იდგნენ, რომლებმაც ივანე ჩიღვინაძეს ხელის მოძრაობით ანიშნეს, რომ ავტომანქანა გაეჩერებინა და მათ კანონიერ მოთხოვნას დამორჩილებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ივანე ჩიღვინაძემ ნათლად დაინახა პოლიციის თანამშრომელთა მოთხოვნა ის არ დაემორჩილა მათ, საგრძნობლად მოუმატა მანქანის სიჩქარეს და ზემოაღნიშნული ავტომანქანით პოლიციელების კორიდორში მყოფ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ტერიტორიული მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილეს გიორგი დათიაშვილს დაეჯახა. დანაშაულის ჩადენის შემდეგ, ივანე ჩიღვინაძე შემთხვევის ადგილიდან მიიმალა, ხოლო გიორგი დათიაშვილი საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი.

ავტომანქანის შეჯახების შედეგად გიორგი დათიაშვილმა მიიღო ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება.

სასამართლოში საქმის არსებითად განხილვისას ივანე ჩიღვინაძის მიერ აღნიშნული დანაშაულის ჩადენა, გარდა თავად ბრალდებულის აღიერებითი ჩვენებისა, დადასტურებულ იქნა: მოწმეთა და დაზარალებულთა ჩვენებებით, სასამართლო-სამედიცინო და სატრანსპორტოტრასოლოგიური ექსპერტიზის დასკვნებით, ამოღებული ნივთმტკიცებებით, ვიდეო მასალით და საქმეში არსებული სხვა უტყუარი მტკიცებულებებით.

თბილისის საქალაქო სასამართლომ დაამტკიცა მხარეებს შორის გაფორმებული საპროცესო შეთანხმება და ივანე ჩიღვინაძეს დანაშაულთა ერთობლიობით, სასჯელის სახედ და ზომად 8 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა, საიდანაც 4 წელს მსჯავრდებული სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოიხდის, ხოლო 4 წელი ჩაეთვალა პირობითად, 5 წლის გამოსაცდელი ვადით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 52-ე მუხლის საფუძველზე, ივანე ჩიღურაძეს სახელმწიფოს სასარგებლოდ, უსასყიდლოდ ჩამოერთვა მისი მართვის ქვეშ მყოფი თეთრი ფერის „ტოიოტა-ლენდკრუიზერი“-ს მარკის ავტომანქანა.

**თბილისის საქალაქო სასამართლოს პრესსამსახური**

## ვერა ქობალია: საქართველო მსოს-ში რუსეთის გაწევრიანებას არ ეწინააღმდეგება



საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრ ვერა ქობალიას განცხადებით, საქართველო მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანებას საერთოდ არ ეწინააღმდეგება. მან ეს განცხადება „ლა ტრიბუნისათვის“ მიცემულ ინტერვიუში გააკეთა. მისი მოსაზრებით, ორი ქვეყნის წინაშე მდგარი პრობლემების გათვალისწინებით, რუსეთისათვის ხსენებულ ორგანიზაციაში გაწევრიანება სასარგებლოც კი არის.

— თუმცაღა რუსეთი, როგორც ნებისმიერი სხვა ქვეყანა, რომელიც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი ხდება, ვალდებულია, მომავალში მისი წესები და ნორმები დაიცვას. შესაბამისად, საქართველო-რუსეთის საზღვარზე საბაჟო კონტროლი უნდა აღდგეს, რაც საერთაშორისო დონეზე, კერძოდ, აშშ-ისა და ევროკავშირის მიერ იქნება აღიარებული, — აღნიშნა ვერა ქობალიამ და განმარტა, რომ ეს არა პოლიტიკური, არამედ ეკონომიკური მოთხოვნაა.

— ორი ქვეყნის საზღვარზე გადასატანი ტვირთი ისე უნდა მოწმდებოდეს, როგორც, მაგალითად, ფინეთ-რუსეთის საზღვარზე, — დასძინა ვერა ქობალიამ.

შეგახსენებთ, რომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანებაზე საქართველო-რუსეთს შორის მოლაპარაკებები მიმდინარე წლის აპრილში დაიწყო. მოლაპარაკებათა მორიგი რაუნდი 12 სექტემბრისათვის შვეიცარიაში არის დაგეგმილი. საქართველოს ხელისუფლებამ არაერთგზის განაცხადა, რომ რუსეთის მიერ ხსენებულ ორგანიზაციაში გაწევრიანებას არ ეწინააღმდეგება, მაგრამ მას მხარს მხოლოდ იმ შემთხვევაში დაუჭერს, თუკი რუსეთი ქვეყნის ხელისუფლების მიერ წაყენებულ პირობებს დააკმაყოფილებს. ეს კი სწორედ ფსოუსა და როკის გვირაბთან არსებული საბაჟო-გამშვები პუნქტების ლეგალიზაციაა.

**მედიანიუსი**

# ნონა გაფრინდაშვილი: ბურჯანაძემ პირად დაცვას იარაღის გამოყენება აუკრძალა

## არ შეი ლება უდანაშაულო ადამიანები ციხეში ისხდნენ და გირგვლიანის მკვლელები თავისუფლად დადიოდნენ

ნონა ცაბა ე

**ბურჯანაძე-ბიწაძის კიდევ ერთ მძღოლს თბილისის საქალაქო სასამართლომ რვა წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ამ ყველაფერს აბსურდის თეატრს და ტრაგიკომედიას უწოდებს სახალხო კრების ლიდერი ნონა გაფრინდაშვილი. ის ამ საკითხზე „ახალ თაობას“ ესაუბრება.**



***— პროკურატურამ და შს სამინისტრომ 26 მაისთან დაკავშირებით ახალი ვიდეომასალა გაავრცელა, ასევე ბურჯანაძის კიდევ ერთ მძღოლს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. როგორია თქვენი დამოკიდებულება აღნიშნულთან დაკავშირებით?***

— აბსურდია ეს ყველაფერი. მე ჩამოვუსწარი ბადრი ბიწაძის სასამართლო პროცესის ბოლო დღეს და ტრაგიკომედია ვუწოდე იმას, რაც იქ ხდებოდა. არანაირი ხელმოსაკიდი მტკიცებულება არ გააჩნიათ, არ არის დოკუმენტალურად გაჯერებული არც ერთი პუნქტი, რომელიც მის მიმართ არის წაყენებული. ბოლოს სხვა გზა რომ არ ჰქონდათ, გადატრიალების მცდელობა მოუხსნეს და წინააღმდეგობის გაწევა დაუტოვეს. მე ვერ წარმომიდგენია ქვეყანა, სადაც სასამართლო შეიძლება იყოს ასე გაკოტრებული და მართლაც ჯიბის სასამართლოდ ქცეული. საერთოდ არ არსებობს სასამართლოს კანონიერი გადაწყვეტილება არც ერთ საკითხთან მიმართებაში. სახალხო კრებიდან კიდევ 38 ადამიანს აქვს მისჯილი, რომელიც ზის სისხლის სამართალზე. ყველა განაჩენი, რომელიც ამ ხალხს სასამართლომ გამოუტანა, არის უსამართლო. ეს ხალხი უდანაშაულოა იმიტომ, რომ ჩვენ, აქციის მონაწილეები, არ გამოვსულვართ კონსტიტუციური ჩარჩოებიდან. ჩვენ არ დაგვირღვევია კანონი. კონსტიტუციით გვაქვს მონიჭებული პროტესტის გამოხატვის უფლება. ნებისმიერი ჩვენი ნაბიჯი, ნებისმიერი ჩვენი ქმედება იყო კანონიერი. ჩვენს ქვეყანაში სასამართლო პრაქტიკულად არ არსებობს და იქ ყველაფერი წყდება ზემოდან კარნახით და ყველაფერი წინასწარ არის გადაწყვეტილი, თუ როგორ გადაწყვეტილებას მიიღებს მოსამართლე.

***— ამის წინააღმდეგობის გაწევისთვის 6 და 8 წელს უსჯიან...***

— დიახ და ამ დროს გირგვლიანის მკვლელებსაც ამდენივე ჰქონდათ მისჯილი და თანაც ვადაზე ადრე გაათავისუფლეს. უდანაშაულო ადამიანებს უსჯიან ამდენ წელს და ადამიანის მკვლელები გარეთ დადიან. ეს სამართალია?! ან ის, რაც 26 მაისს მოგვიწყვეს, ადამიანს რომ ხელბორკილს დაადებ, ბორკილდადებულს რომ კიდევ ერთად 30 კაცი ურტყამს და ასეთ ადამიანებზე ამბობენ წინააღმდეგობა გაგვიწიესო და ამდენ წელს უსჯიან? ხელბორკილდადებულმა ადამიანმა რა წინააღმდეგობა უნდა გაუწიოს, ერთ გამაგებინეთ?! ეს ადამიანები ისჯებიან და ადამიანები, რომლებმაც მართლაც დანაშაული ჩაიდინეს ამ ხალხის წინაშე, პრემიებს იღებენ. სამწუხაროდ, ასეთ ქვეყანაში ვცხოვრობთ და ასეთი სამართლის ქვეშ ვართ. რაც არ უნდა სქემები აქვეყნონ, მე ეს არ მაინტერესებს, ხალხმაც კარგად იცის რაც ხდება. თავის გამართლებას ცდილობენ და რაღაც ხელჩასაჭიდს ეძებენ, მაგრამ არ გამოსდით. ამდენი აგენტი ჰყავდათ შემოგზავნილი, ჩვენ რომ რამე შეგვშლოდა, ასე საქმეების შეთხზვა კი არ დასჭირდებოდათ, პირდაპირ დაიდებოდა საქმეები და ყოველი ჩვენთაგანის წინააღმდეგ იქნებოდა აღძრული საქმეები. მაგრამ ეს ვერ მოხდა და ვერ მოხდა იმიტომ, რომ ჩვენ კანონის საწინააღმდეგოდ არ გვიმოქმედია. ჩვენ ვმოქმედებდით იმ მონიჭებული უფლებებით, რომელსაც გვაძლევს კონსტიტუცია.

***— ბადრი ბიწაძე აცხადებს, რომ 26 მაისს ჩემი ლიკვიდაცია იყო დაგეგმილიო...***

— ჩვენ ბევრი ვიმსჯელეთ, თუ რატომ გაგვიმართეს ეს სასაკლაო. ყველას საკუთარი მოსაზრებები გვქონდა. თუკი უნდათ ტერიტორიის გათავისუფლება, კი ბატონო, იხმარონ წყალი, შედარებით მსუბუქი გაზიც იხმარონ, მაგრამ გასასვლელი დატოვონ. იქ ხომ გასასვლელი არ იყო დატოვებული, ყველა მხარე ჩაკეტილი იყო. ყველა ჩვენთაგანი მივიდა ერთ დასკვნამდე, რომ მართლაც და უნდოდათ ქალბატონი ნინოსთვის ზიანის მიყენება. როგორი ზიანის, ამას ახლა ვერავინ იტყვის, თუმცა ცხადია, რომ ეს იყო ჩაფიქრებული. ეს ყველაფერი პირველ რიგში მიმართული იყო ქალბატონი ნინოს და მისი ოჯახის წინააღმდეგ, რადგან თუ ვინმეა დღეს ოპოზიციაში უკან არდამხევი და ბოლომდე მებრძოლი ამ ხელისუფლების წინააღმდეგ, არის ქალბატონი ნინო. მე ეს დავინახე და ასპროცენტიანი რწმენა მაქვს, რომ ის ბოლომდე იდგება და არანაირად არ გაურიგდება ამ ხელისუფლებას. მას ვერაფრით ვერ დააშინებენ. იმ დღეს სწორედ რომ იყოჩაღეს ნინოს დამცველებმა. ჯერ ერთი, მათ იმ სიტუაციაში იარაღის გამოყენების უფლებაც ჰქონდათ.

***— მათ ჰქონდათ იარაღი?***

— მათ ჰქონდათ იარაღი და შეეძლოთ ამის გამოყენება. ესენი არიან სახელმწიფო დაცვის თანამშრომლები, რომლებიც ნინოს დაქირავებული ჰყავს. დაცვა იმიტომ არის, რომ უნდა გადაეფაროს მას და უნდა გამოიყვანოს ნებისმიერი სიტუაციიდან. ბედი, რომ მათ არ გაისროლეს. მე როგორც ვიცი, ქალბატონმა ნინომ წინასწარ გააფრთხილა თავის დაცვა, რომ არავითარ შემთხვევაში, რაც არ უნდა მომხდარიყო, მათ არ გაესროლათ და ეს დაცვის ხალხმა შეასრულა. თუმცა უმრავლესობა მათგანს მისჯილი აქვს. ეს მძღოლები არ ითვლებიან აქციის მონაწილეებად, ისინი თავის სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდნენ. თუმცა ყველას მიუსაჯეს.

***— ზოგიერთმა ხომ აღიარა კიდეც დანაშაული...***

— გულწრფელად გეუბნებით, მართლაც რომ გამკვირვებია იმ ადამიანებისა, რომლებიც ვერ უძლებენ ზეწოლას და აღიარებენ დანაშაულს. როცა ადამიანი დანაშაულს აღიარებს, რომც შეგეძლოს, ველარ დაიცავ ასეთ ადამიანს. როგორ შეიძლება აღიარო ის, რაც არ ჩაგიდენია, რაც არ უნდა ზეწოლა იყოს. საბედნიეროდ გაცილებით მეტნი არიან ის ადამიანები, რომლებიც ვაჟკაცურად ბოლომდე უძლებენ ამ ზეწოლას. ამ ქვეყანაში სამართალი არ არსებობს, აბა, რაზე უნდა ვილაპარაკოთ!

## თბილისის საქალაქო სასამართლოს პრესსამსახურის განცხადება

თბილისის საქალაქო სასამართლომ დაასრულა სისხლის სამართლის საქმის განხილვა შაქრია ზურაშვილის მიმართ. მას ბრალი ედება მასში, რომ მან ჩაიდინა პოლიციის მუშაკის მიმართ წინააღმდეგობა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის ხელის შეშლის, მისი საქმიანობის შეწყვეტის და შეცვლის მიზნით, ჩადენილი ძალადობით, ჯგუფურად.

მანვე ჩაიდინა ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, ე.ი. სხეულის დაზიანება, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის მსხვერპლის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით.

საქმის მასალების მიხედვით:

2011 წლის 25 მაისს, შაქრია ზურაშვილი, რომელიც იყო ბადრი ბიწაძის ოჯახის მძღოლი, მონაწილეობას ღებულობდა ქ.თბილისში, პარლამენტის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე, საზოგადოებრივი მოძრაობა ,,სახალხო კრების“ მიერ ორგანიზებულ აქციაში, რომელიც ადგილობრივი მართველობის ორგანოების მიერ სანქცირებული იყო 2011 წლის 25 მაისის 24:00 საათამდე. მიუხედავად ამისა, აქციის მონაწილეები ადგილობრივი მართველობის ორგანოების მიერ განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგაც იმყოფებოდნენ პარლამენტის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე და მონაწილეობას ღებულობდნენ არასანქცირებულ აქციაში. მათი მიმართულებით წასული სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების დანახვაზე აქციის მონაწილეების ნაწილმა, მათ შორის შაქრია ზურაშვილმა, მიიღეს გადაწყვეტილება დაეტოვებინათ პარლამენტის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე ტერიტორია, რის გამოც სწრაფად ჩასხდნენ ავტომანქანებში. შაქრია ზურაშვილი, სხვა პირებთან ერთად, ჩაჯდა იქვე მახლობლად გაჩერებულ მისი მართვის ქვეშ მყოფ შავი ფერის „ტოიოტა-პრადოს“ მარკის ავტომანქანაში და მეტროსადგურ თავისუფლების მოედნის მიმართულებით გაემართა. აღნიშნულ პერიმეტრს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით პოლიციის თანამშრომლები აკონტროლებდნენ. მათ ხელის მოძრაობით ანიშნეს ზემოაღნიშნული ავტომანქანის მფლობელს შეეწყვიტა მოძრაობა და მათ კანონიერ მოთხოვნას დამორჩილებოდა. მიუხედავად იმისა, რომ შაქრია ზურაშვილმა ნათლად დაინახა სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა მოთხოვნა, მან არ შეწყვიტა სვლა, პირიქით სწრაფი სვლით გაემართა პოლიციის თანამშრომელთა მიმართულებით, რომლებიც შეეცადნენ დერეფნის გაკეთებას, რათა კანონდარღვევით მოძრავ მანქანებს შესაძლებლობა მისცემოდათ უსაფრთხოდ გაევლოთ ტერიტორია. მიუხედავად აღნიშნული მცდელობისა, ავტომანქანების კოლონიდან ერთ-ერთი ავტომანქანა შეეხო და წააქცია პოლიციის კორდონში მყოფი საქართველოს შსს კონსტიტუციური დეპარტამენტის ქ.თბილისის ტერიტორიული მთავარი სამმართველოს ვაკე-საბურთალოს სამსახურის უფროსის მოადგილე ლევან ნინოშვილი, რომელიც აღნიშნული ავტომანქანის მარჯვენა მხარეს გადავარდა.

ავტომანქანა სახელმწიფო ნომრით Ს-777, რომელსაც მართავდა მძღოლი შაქრია ზურაშვილი წავიდა მისი მიმართულებით. ლ. ნინოშვილმა შეძლო ფეხზე წამოდგომა და მას ხელით სვლის შეჩერება ანიშნა, შაქრია ზურიაშვილმა არ მისცა ლევან ნინოშვილს შესაძლებლობა უსაფრთხო ადგილას გადაადგილებულიყო. მან ავტომანქანის მართვის სიჩქარეს მოუმატა და მარცხენა საბურავით სამართალდამცავს სხეულზე გადაურა. დანაშაულის ჩადენის შემდეგ, შაქრია ზურაშვილი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა, ხოლო ლევან ნინოშვილი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ბრიგადის მიერ გადაყვანილი იქნა საავადმყოფოში.

აღნიშნული შემთხვევის შედეგად ლევან ნინოშვილმა მიიღო სხეულის მძიმე ხარისხის სიცოცხლისათვის სახიფათო დაზიანებები. ღია სასამართლო სხდომაზე საქმის არსებითი განხილვისას შაქრია ზურაშვილმა თავი არ ცნო დამნაშავედ, თუმცა მის მიმართ წარდგენილი ბრალდება, უტყუარად იქნა დადასტურებული გამოკვლეული მტკიცებულებებით, კერძოდ: მოწმეთა ჩვენებებით, სასამართლო სხომაზე ექსპერტის მიერ მიცემული ჩვენებებით, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმებით და საქმეში არსებული სხვა მასალების ერთობლიობით.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ჩადენილი დანაშაულისთვის შაქრია ზურაშვილს დანაშაულთა ერთობლიობით, საბოლოოდ სასჯელის სახედ და ზომად 12 (თორმეტი) წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

შაქრია ზურაშვილს საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახით განესაზღვრა; დანაშაულის იარაღის — მისი მართვის ქვეშ მყოფი „ტოიოტა პრადოს“ მარკის ავტომანქანის, სახელმწიფოს სასარგებლოდ, უსასყიდლოდ ჩამორთმევა.

**თბილისის საქალაქო სასამართლოს პრესსამსხური**

## ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები უკვე ცნობილია

2011 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები უკვე ცნობილია. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, დიმიტრი შაშკინმა და სამინისტროს გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორმა მაია მიმინოშვილმა ბრიფინგი გამართეს.



უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში პირველადი ჩარიცხვების თაობაზე ინფორმაცია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე გამოვეყნა.

წელს აბარებდა 34 000-მდე აბიტურიენტი, მათაგან მხოლოდ 2500-მდე ბიტურიენტი ვერ გახდა სტუდენტი, 22236 აბიტურიენტი უკვე ჩაირიცხა მისთვის სასურველ აკადემიურ პროგრამებზე. მსურველთაგან მხოლოდ 7%-მა ვერ გადალახა ზოგადი უნარების გამოცდა.

10 000 აბიტურიენტს აქვს შესაძლებლობა, მეორადი ჩარიცხვებით ჩაირიცხოს აკადემიურ პროგრამებზე ან მეოთხე, მეხუთე დონის პროფესიულ პროგრამებზე. პროფესიულ პროგრამებზე 1318 აბიტურიენტი ჩაირიცხა, ქართულ ენაში მომზადების პროგრამებზე 424 მსურველი ჩაირიცხა. გასულ წელს ეთნიკური უმცირესობებიდან მხოლოდ 200-მდე მსურველი ჩაირიცხა.

პირველადი ჩარიცხვების შემდეგ დარჩენილი ადგილების ჩამონათვალი სამინისტროს გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე 31 აგვისტომდე განთავსდება. განმეორებითი განცხადებების მიღება 31 აგვისტოს დაიწყება და 5 სექტემბრის ჩათვლით გასტანს.

განცხადებები მიიღება: თბილისში ტექნიკური უნივერსიტეტის მე 6 კორპუსში; რეგიონებში — საგანმანათლებლო რესურსცენტრებში.

ვადები უახლოეს დღეებში სამინისტროს გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდება.

ამასთან, როგორც დღევანდელ ბრიფინგზე ითქვა, აკრედიტაცია გაუუქმდა უნივერსიტეტ „იბერიას“, იქ ჩარიცხული აბიტურიენტები საბუთების გადატანას ნებისმიერ აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებელში შეძლებენ.

**ინტერპრესნიუსი**

## ქართული პარტია თელავის გამგეობას კორუფციაში ადანაშაულებს



„ქართული პარტია“ თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენლებს მოსახლეობის მოსყიდვაში ადანაშაულებს და გამგებელს აღნიშნულთან დაკავშირებით, შესაბამის რეაგირებას სთხოვს. როგორც გუშინ გამართულ ბრიფინგზე პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა სოფიო ხორგუანმა განაცხადა, 2 ოქტომბერს თელავის ოლქში პარლამენტის მაჟორიტარული არჩევნები იმართება. პარტიის ინფორმაციით, გამგეობის თანამშრომლები წვევანდელებს კორუფციულ გარიგებაში მონაწილეობას სთავაზობენ.

თელავის გამგეობის წევრები წვევანდელს სთავაზობენ, რომ მათ მიიყვანონ ის 20 ადამიანი, რომლებიც 2 ოქტომბერს დაგეგმილ არჩევნებში თელავის გამგეობის წევრებისთვის სასურველ კანდიდატს მისცემენ ხმას. სანაცვლოდ კი სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან გათავისუფლებას სთავაზობენ“, — განაცხადა ხორგუანმა და დასძინა, რომ ეს ყველაფერი ხდება მაშინ, როდესაც ხელისუფლება ქვეყანაში საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე ლაპარაკობს.

როგორც ხორგუანმა აღნიშნა, თელავის გამგეობის წევრების ქმედება არის როგორც საარჩევნო კანონის დარღვევა, ისე კორუფციული გარიგება და ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება. პარტია თელავის გამგებელს ვასილ დავითაშვილს მიმართავს, რომ გააკონტროლოს გამგეობის წევრების საქმიანობა, ხოლო ხელისუფლებამ პრაქტიკაში დაამკვიდროს ის საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებული ცვლილებები, რომლებზეც მხოლოდ სიტყვით საუბრობს.

**მედიანიუსი**

# 4.000 რკინიგზელს სამსახურიდან ათავისუფლებენ

ქეთი ხომერიკი

**„თავისუფალი საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერის გია ყრუაშვილის ინფორმაციით, უახლოეს მომავალში შპს „საქართველოს რკინიგზიდან“ 4.000 რკინიგზელის შინ გაშვება იგეგმება, მათ ადგილებს კი ნაციონალური მოძრაობის ნათესავ-მეგობრები დაიკავებენ. ყრუაშვილის თქმით, ნეპოტიზმის საუკეთესო გამოვლინებაა დღეს საქართველოს რკინიგზაში. ყრუაშვილი დარწმუნებულია, რომ „საქართველოს რკინიგზა“ სულ მალე რკინიგზელების გარეშე დარჩება და რკინიგზა არათუ არაპროფესიონალებით, არამედ საქმეში ჩაუხედავი ადამიანებით გაივსება.**



„ახალ თაობას“ **გია ყრუაშვილი** ესაუბრა:

— შპს „საქართველოს რკინიგზაში“ რკინიგზელების ტერორი და დაცინვა გრძელდება. ამას გარდა, კვლავ ავარიულ მდგომარეობაშია რკინიგზის მოძრავი შემადგენლობა. ამის მიუხედავად, რკინიგზის შეფი ირაკლი ეზუგბაია და მგზავრთა გადაყვანის დირექტორი თემურ ბულია თანამდებობებზე კვლავ რჩებიან, რათა რაც შეიძლება მეტი შავი ფული ამოიღონ რკინიგზის შემოსავლებიდან. ძველი რკინიგზელები, ადამიანები, რომლებიც მუშაობდნენ სალოკომოტივო დეპოებში და რკინიგზის სხვადასხვა ორგანიზაციებში, ბუღალტრები, კადრების თანამშრომლები, სავაგონო დეპოს ზეინკლები, შემადგენლები, მემანქანეები და სხვანი უახლოეს მომავალში უმუშევრები დარჩებიან. საქართველოს რკინიგზაში კი აცხადებენ, რომ არავის გათავისუფლება და უსამსახუროდ დატოვება არ იგეგმება.

*— და თქვენ რის საფუძველზე აცხადებთ ამას?*

— ჩემი ინფორმაციით, უახლოეს მომავალში რკინიგზიდან 4.000 რკინიგზელის შინ გაშვება იგეგმება. ეს უკვე გადაწყვეტილია. სამსახურიდან გაშვება ემუქრება ყველა იმ რკინიგზელს, რომელმაც ათეული წლები რკინიგზაში გაატარა.

*— რატომ აპირებენ ამ ადამიანების სამსახურებიდან გაშვებას?*

— ამ ადამიანების ადგილას ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერ-ახლობლები უნდა დაასაქმონ და ამიტომ, აი, ეს არის ძირითადი მიზეზი. ვიმეორებ, უამრავი თანამშრომელი გათავისუფლების მოლოდინშია. აქვე გეტყვით, რომ არის საოცარი განსხვავება ნაცმოძრაობის მეგობრებისა და უბრალო რკინიგზელების ხელფასებს შორის. თუ მგზავრთა გადაყვანის დირექტორსა და მის მოადგილეებს, ასე ვთქვათ, არაფრის კეთებაში 12.000 ლარი აქვთ ხელფასი, საწყალ მემანქანეებს აქვთ 600 ლარი. ყველა თანამდებობის პირის ანაზღაურება 4.000 ლარიდან ზემოთაა, უბრალო, წესიერ და მშრომელ ადამიანებს კი 300 ლარს უხდიან და ამის გადახდაც კი ენანებათ. ბულიას ძმაკაც ბერუჯანიანს (ახალციხიდან ჩამოიყვანეს და ბუღალტრად დაასაქმეს) 4.000 ლარი აქვს ხელფასი, წარმოების ბუღალტერს (რომელიც ამ მაღალჩინოსნების ნათესავ-მეგობარი არ არის )კი 300 ლარი. ხედავთ რა ხდება, ხელფასებიც კი შერჩევითია, ანუ თუ ნაციონალების კადრი ხარ, სოლიდურ თანხას იღებ ხელფასის სახით, თუ არადა, 300 ლარს გიხდიან, ისიც სამადლოდ. ახლა კი, როგორც გითხარით, ამ უბრალო რკინიგზელების საერთოდ თავიდან მოშორებას აპირებენ. მეტსაც გეტყვით, მაშინ, როდესაც საქართველოს რკინიგზას ემსახურებოდა 80-მდე სამგზავრო მატარებელი, მგზავრთა გადაყვანას ემსახურებოდა სამი წამყვანი ხელმძღვანელი, რომელთა ხელფასები 200 ლარს არ აღემატებოდა, ხოლო გამცილებლებსა და მემანქანეებს თითქმის ყველა ხელმძღვანელ პირზე 3-ჯერ მეტი ხელფასი ჰქონდათ, დღეს რკინიგზას სულ 4 კინკილა სამგზავრო მატარებელი ემსახურება, დაახლოებით 110 წამყვანი ხელმძღვანელია, რომელთა ხელფასები 4.000-დან იწყება, ხოლო მემანქანეების ხელფასი კაპიკებს უდრის. ეს, რბილად რომ ვთქვათ, მათი აბუჩად აგდებაა. მაგალითად, თუ რკინიგზის ორი სპეციალისტიდან ორივე წამყვან სპეციალისტად მუშაობს და ერთი უბრალო რკინიგზელია, მისი ხელფასი 300 ლარს შეადგენს, მეორესი კი, რომელიც ნაცმოძრაობიდან და ბულიას სამეგობროდან არის, 3.000 ლარს.

*— სერიოზული ბრალდებებია, დარწმუნებული ხართ, რომ ეს ასეა? და რას ამბობენ, თქვენივე სიტყვებით თუ ვიტყვით, უბრალო რკინიგზელები?*

— რა თქმა უნდა, წინააღმდეგ შემთხვევაში არ ვიტყოდი, ხომ! რას იტყვიან, თუ რომელიმე რკინიგზელი წაიწუწუნებს, ხელმძღვანელი კი არ უთანაგრძნობს მას, პირიქით, შეურაცხყოფასაც კი აყენებს და სამსახურიდან გაგდებით ემუქრება. მაღალ თანამდებობებზე მოიყვანეს ყოფილი პოლიციელები, რომლებსაც თანამშრომლები ტერორის ქვეშ ჰყავთ. ერთ-ერთ მემანქანეს თათბირის დროს ბულიას მოადგილემ, ვინმე ყიფიანმა იცით რა უთხრა, თუ წყნარად არ იქნები, სულს ამოგხდიო. ამ ყიფიანმა ამას წინათ ბათუმი-თბილისის მატარებლის უფროსი გააგდო და მის ადგილზე თავის ცოლისძმა დაასაქმა.

*— ანუ ნეპოტიზმის საუკეთესო გამოვლინებაა დღეს საქართველოს რკინიგზაში?*

— რა თქმა უნდა... და დღეს რომ რკინიგზაში რკინიგზლებს ეპყრობიან ეს ე.წ. ხელმძღვანელები, არა მგონია, ასე სადმე კონცლაგერებში ეპყრობოდნენ პატიმრებს ან სიკვდილმისჯილებს. მოვუწოდებ რკინიგზის ხელმძღვანელ პირებს, შეწყვიტონ რკინიგზელების აბუჩად აგდება და ტერორი, წინააღმდეგ შემთხვევაში ვპირდები მათ, რომ აუცილებლად დაისჯებიან კანონის სრული სიმკაცრით და ეს დღეც ძალიან მალე მოვა.

„ახალი თაობა“ შპს „საქართველოს რკინიგზის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს **ირმა სტეფნაძეს** დაუკავშირდა და შემდეგი კითხვები გადაუგზავნა.

— უახლოეს მომავალში 4.000 რკინიგზელის გაშვება იგეგმება სამსახურიდანო, განაცხადა ჩვენთან საუბრისას თავისუფალი საქართველოს წარმომადგენელმა გია ყრუაშვილმა, ადასტურებთ თუ არა ამ ინფორმაციას?

— ამ ადამიანების ადგილას ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერ-ახლობლების დასაქმება არ იგეგმება?

— თუ ნაციონალების კადრი ხარ, სოლიდურ თანხას იღებ ხელფასის სახით, თუ არადა, 300 ლარს გიხდიან სამადლოდო...

— მგზავრთა გადაყვანის დირექტორ თემურ ბულიასთან დაახლოებულ რკინიგზელებს სხვა თანამშრომლებთან შედარებით მაღალი ხელფასები აქვთო, მაგალითად, ბულიას ძმაკაც ბერუჯანიანს, ბუღალტერს 4.000 ლარი აქვს ხელფასი, წარმოების ბუღალტერს კი 300 ლარი, ეს ასეა?

— კვლავ ავარიულ მდგომარეობაშია რკინიგზის მოძრავი შემადგენლობა, მოსალოდნელია ავარიებიო, რას იტყვით ამასთან დაკავშირებით?

ჩვენს კითხვებზე „საქართველოს რკინიგზის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროს ირმა სტეფნაძესგან ასეთი პასუხი მივიღეთ:

შპს „საქართველოს რკინიგზაში“ არავითარი შემცირებები არ იგეგმება. პირიქით, რკინიგზაში მოქმედებს უპრეცედენტო ხელშეკრულების ფორმა: უვადო, რაც გულისხმობს მუდმივ სამუშაო ადგილს და ვფიქრობთ, ჩვენს თანამშრომლებს სტაბილური სამუშაოს გარდა, აძლევს თვითგანვითარების საუკეთესო საშუალებას. სწორედ ამისათვის საქართველოს რკინიგზა აძლევს საშუალებას საკუთარ თანამშრომლებს ისწავლონ, ან კვალიფიკაცია აიმაღლონ საქართველოს წამყვან უნივერსიტეტებში, რომელთაც სწორედ რკინიგზელთათვის შეადგინეს სასწავლო პროგრამა მორგებული სპეციფიკასა და სწავლის მსურველთათვის ხელსაყრელ დროზე.

გარდა ამისა, შპს „საქართველოს რკინიგზა“ არის კომპანია, რომელიც წარმატებულად ვითარდება და მუდმივად ახდენს სტრუქტურების ოპტიმიზაციას ყველა რგოლის დონეზე, რათა სტრუქტურა უფრო მოქნილი და ეფექტური იყოს. ეს კი თავის თავში არ გულისხმობს შემცირებებს. იქმნება ახალი სამუშაო ადგილები, სადაც გამოცხადებულ კონკურსებში მონაწილეობას იღებენ მხოლოდ რკინიგზელები. ეს ინფორმაცია ღიაა და შეგიძლიათ იხილოთ რკინიგზის ვებგვერდზე.

რაც შეეხება რკინიგზის უსაფრთხოებას, ივლისში, სამწუხაროდ, პრობლემა შეექმნა უცხო ქვეყნის მოძრავი შემადგენლობის სატვირთო ვაგონებს, რამაც გამოიწვია ავარია. მსგავსი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად უკვე შეძენილია და მონტაჟდება საერთაშორისო სატვირთო ვაგონების კონტროლის სისტემები, რომლებიც უცხოური ვაგონების გამართულობასაც შეამოწმებს.

რაც შეეხება სამგზავრო გადაყვანებს, აქ ზედმიწევნით დაცულია უსაფრთხოების ყველა ნორმა. ყველა სადგურში და მაგისტრალის ყოველ 30 კილომეტრში დგას თანამედროვე დანადგარი, რომელიც ინფრაწითელი სხივებით ამოწმებს მატარებლის უსაფრთხოებას (ე.წ. კატეესემი). წელს სამგზავრო გადაყვანების თანამედროვე უსაფრთხოების დაცვის სისტემებისა და ახალი ელექტრომატარებლების შესაძენად ჩაიდო ინვესტიცია, ისევე, როგორც ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარებისათვის, სადაც დამატებით შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები და დამატებით დასაქმდებიან ადამიანები.

საქართველოს რკინიგზა კი, უცხოელი ექსპერტების მიერ შეფასებულია, როგორც ერთ-ერთი ყველაზე განვითარებადი და უსაფრთხო რკინიგზა რეგიონში.

რაც შეეხება ხელფასებს, იგი რეგულირდება კანონის სრული დაცვით და გაიცემა მკაცრად გაწერილი თანამდებობრივი სარგოს მიხედვით.

## მარჯანიშვილის ქუჩაზე მრავალფუნქციური შენობები აშენდება

თბილისის მერიის ინიციატივით, მარჯანიშვილის ქუჩის, მოედნისა და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული შენობების რეაბილიტაცია მიმდინარეობს.



განხორციელდება საზოგადოებრივი სივრცისა და სატრანსპორტო სავალი ნაწილის რეკონსტრუქცია. სამუშაოების ფარგლებში მთლიანად გამოიცვლება მიწისქვეშა კომუნიკაციები, სახლების სახურავები, გამაგრდება შენობები, საჭიროების შემთხვევაში შეიცვლება სადარბაზოების კარები და აღდგება სახლების ფასადები, დამონტაჟდება ახალი ლამპიონები.

მარჯანიშვილის ქუჩაზე აშენდება ახალი მრავალფუნქციური შენობები და მოეწყობა საფეხმავლო პასაჟი.

რეაბილიტაცია 2012 წლის მაისში დასრულდება და მარჯანიშვილის ქუჩას ისტორიული იერ სახე დაუბრუნდება და ის ახალ ფუნქციას შეიძენს.

**მედიანიუსი**

## მთავრობა თბილისის რელსშესადუღებელ ქარხანას ყიდის

მთავრობა თბილისის რელსშესადუღებელ ქარხანას ყიდის.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინფორმაციით, აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იქნება შპს "თბილისის რელსშესადუღებელი ქარხნის" სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100%-იანი წილი. ობიექტი კახეთის ჩიხი №21-ში მდებარეობს და მისი საწესდებო კაპირალი 2 191 418 ლარია.

რელსშესადუღებელი ქარხნის საწყისი გასაყიდი ფასი 3 300 000 ლარია. ობიექტს 94 128 ლარის კრედიტორული, ხოლო 96 828 ლარის დებიტორული დავალიანება აქვს.

**ინტერპრესნიუსი**

## აჭარაში მაღალმთიანი სოფლების ტურისტული პოტენციალის შესწავლა დაიწყო

აჭარის მაღალმთიანი სოფლების ტურისტული პოტენციალის შესწავლისა და ახალი ტურისტული ტურების შექმნის მიზნით, ტურიზმის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა გასვლითი ღონისძიებები დაიწყეს.



ტურიზმის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა სოფელ კვირიკესა და ჩაქვისთავში ოჯახური ტიპის სასტუმროები უკვე დაათვალიერეს. დეპარტამენტის ინფორმაციით, აღნიშნულ სასტუმროებში ყველა აუცილებელი პირობაა შექმნილი კარგი დასვენებისთვის. მათ ერთდროულად რამოდენიმე ათეული ტურისტის მიღება შეუძლიათ. სოფლის ტურიზმით დაინტერესებულებისთვის შეიქმნა სპეციალური ტურისტული პაკეტი.

— მთისა და ზღვის სიახლოვე, ნატურალური პროდუქტებით დამზადებული კერძები, მდინარეები თუ მშვიდი გარემო განსაკუთრებით ხიბლავს უცხოელ ტურისტებს. კერძო სასტუმროების მეპატრონეები შენიშნავენ უცხოელ ტურისტთა ნაკადის ზრდას. ტურიზმის დეპარტამენტი მომავალშიც გეგმავს სხვადასხვა სოფლების ტურისტული პოტენციალის შესწავლას, საჭირო რეკომენდაციების გაცემასა და სოფლად ტურიზმის განვითარებისთვის ხელშეწყობას, — აცხადებენ ტურიზმის დეპარტამენტში.

**ინტერპრესნიუსი**

## წყალმომარაგების კომპანიას სპეცტექნიკა გადასცეს

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას სხვადასხვა სახის 30 ერთეული სპეცტექნიკა გადასცა. მრავალფუნქციური სპეცტექნიკა, რომლის ღირებულება 7 მილიონი ლარია სამინისტრომ კომპანიისთვის აზიის განვითარების ბანკის დაფინანსებით შეიძინა.

როგორც სამინისტროში განმარტავენ, აღნიშნული სპეცტექნიკა უზრუნველყოფს წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემაში მიმდინარე სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოების ხარისხიანად ჩატარებას და სისტემაში დაზიანების აღმოჩენის შემთხვევაში, პრობლემის ოპერატიულად ლოკალიზებას. გარდა ამისა, აღნიშნული ტექნიკის გამოყენება, თავისი მრავალმხრივი შესაძლებლობებიდან გამომდინარე სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების დროსაც, მათ შორის მშენებლობებშია შესაძლებელი, რაც გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიისათვის დამატებითი შემოსავლის წყარო იქნება.



გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის რეგიონულ ფილიალებს გადაეცემა: წყლის გამწმენდი ავტომობილი, თვითმცლელი და ავტომცლელი მანქანები, საავარიო ბრიგადებისთვის აუცილებელი ყველა საჭირო ინვენტარით აღჭურვილი მანქანა-დანადგარი. ეს მცირედი ჩამონათვალია სპეცტექნიკის, რომელიც დღეს კომპანიის თანამშრომლებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა რამაზ ნიკოლაიშვილმა პირადად გადასცა.

**მედიანიუსი**

# სახალხო დამცველის აპარატმა ციხეებში სერიოზული დარღვევები აღმოაჩინა

სახალხო დამცველის აპარატის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატის ფარგლებში, გეგმური მონიტორინგი განახორციელეს იმერეთის რეგიონის სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, კერძოდ ქუთაისის №2, გეგუთის №14 და ხონის №13 დაწესებულებებში.

როგორც „მედიანიუსს" სახალხო დამცველის აპარატიდან აცნობეს, ქუთაისის №2 დაწესებულებაში მონიტორინგის დროს განთავსებული იყო 1451 პატიმარი. მონიტორინგის შედეგები იძლევა საფუძველს ითქვას, რომ წინა წელთან შედარებით, დაწესებულებაში განთავსებულ პირთა ყოფა საგრძნობლად გაუარესდა. უკანასკნელ პერიოდში, თავი იჩინა პატიმართა მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტებმა.

პატიმრები აღნიშნავენ, რომ ადმინისტრაციის თანამშრომლები მათ ხშირად უხეშად და დამამცირებლად ექცევიან, განსაკუთრებით კი დისციპლინურ პასუხისმგებლობადაკისრებულ და კარანტინში განთავსებულ პატიმრებს. მათი თქმით, უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში, დაწესებულების შინაგანაწესის დარღვევის შემთხვევაში, სამარტოო საკანში გადაყვანის ნაცვლად, როგორც ამას კანონი ითვალისწინებს, პატიმართა უმეტესობა ჯერ დაწესებულების ე.წ. „ბოქსში" გადაჰყავთ. „ბოქსი" წარმოადგენს დაახლოებით 2 3 მ2 ფართის მქონე საკანს, სადაც არ არის არც მაგიდა, არც სკამი და არც საწოლი და სადაც დასჯილ პატიმრებს ათავსებენ ფეხშიშველა, საცვლების amარა, 3 დან 24 საათამდე. ზოგიერთმა მსჯავრდებულმა ისიც აღნიშნა, რომ ისინი „ბოქსში" ჩაყვანის შემდეგ სცემეს, თუმცა აღნიშნული ფაქტების წერილობით დაფიქსირებისგან თავი შეიკავეს.

პატიმართა გადმოცემით, ისინი თავს იკავებენ ყოველდღიური გასეირნებისგან, რადგან ყოველი გადაადგილება შესაძლებელია დაწესებულების თანამშრომლებთან კონფლიქტის მიზეზი გახდეს, ხოლო ისინი, ვინც მაინც სარგებლობენ ამ უფლებით, აღნიშნავენ,



რომ თუ სეირნობისას ერთი პატიმარი მაინც დაარღვევს შინაგანაწესს (მაგალითად მიესალმება სხვა პატიმარს), მთელი საკანი ისჯება და ბრუნდება საკანში.

ზემოაღნიშნული პრაქტიკის არსებობა ქუთაისის №2 დაწესებულებაში დაადასტურა მონახულებული პატიმრების აბსოლუტურმა უმრავლესობამ (დაახლოებით 600 პატიმარი), რაც განსაკუთრებით დამაჯერებელს ხდის აღნიშნულ ფაქტებს, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ქუთაისის დაწესებულება არის დახურული ტიპის, სადაც სხვადასხვა საკნებში განთავსებულ პატიმრებს არანაირი კონტაქტი არ აქვთ ერთმანეთთან. გარდა ამისა, უკანასკნელ ხანებში, სახალხო დამცველს არაერთი კოლექტიური განცხადებით მიმართეს ქუთაისის №2 დაწესებულებაში განთავსებულმა პატიმრებმა. ისინი საუბრობენ მათი უფლებების უხეშ დარღვევაზე და მათ მიმართ არასათანადო მოპყრობაზე. ორ ფაქტზე, სახალხო დამცველის რეკომენდაციით, დაწყებულია გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 1443 მუხლით (დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა).

რთული მდგომარეობაა დაწესებულების კარანტინშიც, სადაც ახლად შეყვანილ პატიმრებს ათავსებენ.

პატიმრების თქმით, კარის ყოველი გახმაურების დროს მათ აიძულებენ თავზე ხელებდაწყობილები დადგნენ ფანჯრისკენ სახით, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ვინმემ ვერ მოასწრო საწოლის მეორე სართულიდან დროულად ჩამოსვლა და ადმინისტრაციის მიერ მითითებულ მდგომარეობაში დადგომა, ისჯება მთელი საკანი. პატიმართა თქმით, ამ შემთხვევაში დასჯა გულისხმობს მათ დაჩოქებას თავზე ხელებდაწყობილ მდგომარეობაში, რაც 1 2 საათიც კი გაგრძელებულა. დაახლოებით ორი თვეა, კარანტინში მყოფი პატიმრები ველარ სარგებლობენ გასეირნების უფლებით. პატიმრები ასევე აღნიშნავენ, რომ ჩვეულებრივი ამბავია, კარანტინის საკნიდან შემოწმებაზე გამოსვლისას თანამშრომლების მხრიდან მუცელში ან გვერდებში იდაყვების ჩარტყმა.

სახალხო დამცველი მოუწოდებს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს, სასწრაფოდ გაატაროს ყველა საჭირო ღონისძიება ქუთაისის №2 დაწესებულებაში თავისუფლებააღკვეთილ პირთა უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად, ასევე დააყენოს ყველა იმ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი რომელნიც გამოირჩევიან პატიმართა მიმართ არასათანადო მოპყრობით.

ქუთაისის №2 დაწესებულებისგან განსხვავებული ვითარებაა გეგუთის №14 დაწესებულებაში, სადაც მონიტორინგის დროს განთავსებული იყო 2693 მსჯავრდებული. პატიმრებთან გასაუბრებით გაირკვა, რომ მოპყრობა წინა წლებთან შედარებით გაუმჯობესებულია. დაწესებულების ადმინისტრაცია, მათ შორის, დაწესებულების დირექტორი, ცდილობს, რეგულარულად იქონიოს კონტაქტი პატიმრებთან და მაქსიმალურად უწყობს ხელს მათ ამა თუ იმ პრობლემის გადაწყვეტაში. დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ გეგუთი არის ერთადერთი სასჯელაღსრულების დაწესებულება, სადაც სამარტოო საკანში მყოფ (დასჯილ) პატიმრებს ეძლევათ საშუალება, ისარგებლონ შხაპით, ყოველდღიური გასეირნების უფლებით და იქონიონ ჰიგიენური ნივთები. მათ ასევე ძილის წინ ეძლევათ ლეიბები და გადასაფარებლები.

სამარტოო საკანში განთავსებული პატიმრებისთვის, საჭიროების შემთხვევაში, ხელმისაწვდომია ექიმის მომსახურებაც. ამ ეტაპზე გეგუთის დაწესებულებაში განთავსებული პატიმრების ყველაზე გამოკვეთილი სურვილია სატელეფონო აპარატების დამატება და დაწესებულების ე.წ. ბარაკების ნაწილში საფეხბურთო სტადიონის აშენება.

სავარაუდოდ, აღნიშნული რეკომენდაცია უახლოეს მომავალში შესრულდება, რისი ვარაუდის საფუძველსაც იძლევა ის ფაქტი, რომ ხონის დაწესებულებაში, უკანასკნელი წელიწადნახევრის განმავლობაში, არ განხორციელებულა მსჯავრდებულთა ეტაპირება. მონიტორინგის დროს დაწესებულებაში სულ განთავსებული იყო 73 მსჯავრდებული. მოპყრობის მხრივ მსჯავრდებულები არ გამოთქვამენ პრეტენზიას, თუმცა დაწესებულებაში არსებული პირობები კვლავ ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს.

**მედიანიუსი**

## იაპონიის პრემიერ-მინისტრი იოსიხიკო ნოდა გახდა



იაპონიის მმართველი პარტიის თავმჯდომარე და ქვეყნის პრემიერ-მინისტრი იაპონიის ფინანსთა მინისტრი იოსიხიკო ნოდა გახდა.

„როიტერის" ინფორმაციით, იოსიხიკო ნოდამ, რომელიც ნაოტო კანს შეცვლის, ეკონომიკის მინისტრს, ბანრი კაიედოს აჯობა. ნოდამ კენჭისყრის მეორე ტურში ხმების უმრავლესობა, 215 ხმა მოიპოვა და ბანრი კაიძას გაუსწრო, რომელმაც 177 ხმა მიიღო. მმართველი პარტიის პოსტზე ხუთი კანდიდატი იყრიდა კენჭს. მათ პირველ ტურში ხმების საჭირო რაოდენობა ვერ მოიპოვეს, რის გამოც არჩევნების მეორე ტური დაინიშნა.

**ინტერპრესნიუსი**

## თურქეთის მთავრობა მართლმადიდებლებსა და იუდეველებს ქონებას უბრუნებს

თურქეთის მთავრობა ქვეყნის ტერიტორიაზე მცხოვრებ მართლმადიდებლებსა და იუდეველებს ჩამორთმეულ უძრავ ქონებას უბრუნებს.

უცხოური საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, საუბარია შენობა-ნაგებობებზე, რომელიც თურქეთის მთავრობამ ბერძნებს, სომხებსა და იუდეველებს 1936 წელს ჩამოართვა. მათ შორის იყო ეკლესია-მონასტრები, სკოლები და სასაფლაო. უკვე გაყიდული შენობების სანაცვლოდ რელიგიური უმცირესობები მთავრობისგან ფულად კომპენსაციებს მიიღებენ.

თურქეთის მთავრობის ეს გადაწყვეტილება ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა, ტაიპ ერდოგანმა გამოაცხადა, რომელსაც თურქეთის ოპოზიცია აპროტესტებს.

რელიგიური უმცირესობებისთვის ქონების კონფისკაცია თურქეთში 1936 წელს დაიწყო. ყველა არამუსულმანური გაერთიანება ვალდებული იყო, ქონება აღენუსხა, 1974 წელს კი მათ ახალი საკუთრების შეძენა აუკრძალეს.

ხელისუფლების გადაწყვეტილება ევროკავშირის ზეწოლის შედეგია. თურქეთი, რომელიც 2005 წლიდან ამ ორგანიზაციაში გაწევრიანებას ცდილობს, ვალდებულია გააუქმოს ყველა კანონი, რომელიც არამუსულმანურ მოსახლეობას ზღუდავს.

თურქეთში რელიგიური უმცირესობები მოსახლეობის 1%-ს შეადგენენ. თურქეთის 74 მლნ მოქალაქიდან, 120 ათასი ქრისტიანი და 25 ათასი იუდეველია.

**ინტერპრესნიუსი**

## ყველა დასაქმებულის დაზღვევა სავალდებულო გახდება

ყველა დამსაქმებელს მასთან დასაქმებული პირების დაზღვევის უზრუნველყოფა დაევალება.

ამის შესახებ თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსმა მამუკა ქაცარავამ განაცხადა გუშინ, დედაქალაქის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების კომისიის სხდომაზე.

მისი თქმით სახლმწიფო ყველა ადამიანის დაზღვევას ვერ უზრუნვეყოფს, ამიტომ საქართველოში სადაზღვევო კულტურა უნდა დაინერგოს.

— მერია მუშაობს პენსიონერიიებისა და 5 წლამდე ბავშვების დაზღვევის პროგრამაზე. ამას ემატება სოციალურად დაუცველი ოჯახები, მაგრამ ის ოჯახები, ის ადამიანები, ვინც არც ამ ასაკობრივ კატეგორიას მიეკუთვნებიან და არც სოციალურად დაუცველთა კატეგორიას, გაღატაკების საფრთხის წინაშე დგანან. ამიტომ გადავწყვიტეთ დასაქმებული ადამიანების დაღვევა სავალდებულო გახდეს. მეც კი, რომელსაც ნორმალური ხელფასი მაქვს, სერიოზული ჯანმრთელობის პრობლემის შექმნის შემთხვევაში უსახლკაროდ დავრჩები. ამას წინათ საკმაოდ მაღალი თანამდებობის პირის ოჯახის წევრს ოპერაცია დასჭირდა, რომელიც 50.000 ჯდებოდა. რა თქმა უნდა, ამ ადამინის არც ხელფასი და არც სხვა შემოსავალი ამ თანხას ვერ გაწვდებოდა ამიტომ ბინა გაყიდა. წარმოიდგინეთ, რა მდგომარეობაში ვარდებიან შედარებით მცირე შემოსავლის მქონე ოჯახები? ჩვენ რაღაცნაირად ვზრუნავთ ამ პრობლემის მოგვარებაზე თუმცა ერთბაშად და უმტკივნეულოდ ეს საკითხი ვერ მოგვარდება, — განაცხადა ქაცარავამ.

**პრაიმ-ნიუსი**

## მედვედევმა რუსეთის დუმის არჩევნები 4 დეკემბერს დანიშნა



რუსეთში სახელმწიფო დუმის არჩევნები 4 დეკემბერს გაიმართება.

რუსული მედიის ინფორმაციით, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა შესაბამის ბრძანებას ხელი უკვე მოაწერა.

რუსეთში 2012 წლის გაზაფხულზე ქვეყნის პრეზიდენტის არჩევნებიც უნდა გაიმართოს.

**პრაიმ-ნიუსი**

## კონტროლის პალატაში ფინანსური აუდიტის მეთოდოლოგიის სწავლება დაიწყო

კონტროლის პალატაში ფინანსური აუდიტის მეთოდოლოგიის სწავლება დაიწყო.

ტრეინინგებს მსოფლიოს უდიდესი აუდიტორული კომპანიების სპეციალისტები ატარებენ.

5 კვირიანი სემინარი საფინალო გამოცდით დასრულდება. აუდიტორები დეტალურად შეისწავლიან ფინანსური აუდიტის ეტაპებს აუდიტის დაგეგმვის, განხორციელებისა და ანგარიშგების პროცედურებს.

**პრაიმ-ნიუსი**

## ახალგაზრდა ფინანსისტების და პროფკავშირების დავა გრძელდება

ახალგაზრდა ფინანსისტები იმ პროფკავშირების თვითლიკვიდაციას მოითხოვენ, რომელიც დასაქმებულთა ინტერესებს არ იცავს.

ამის შესახებ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე „საქართველოს ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაცია — აფბას" პრეზიდენტმა მერაბ ჯანიაშვილმა განაცხადა.

მისი თქმით, აფბა აყენებს წინადადებას, შეიქმნას პროფესიულ კავშირებში შექმნილი მდგომარეობის შემსწავლელი საზოგადოებრივი საბჭო, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი, 5-7 ცნობილი და ავტორიტეტული მოღვაწის მონაწილეობით ამის მაგალითია „მედიკოსთა დაცვის ლიგის" შექმნა. მედიკოსებმა ოფიციალურ პროფკავშირებს კი არ მიმართეს, ახალი პროფესიული გაერთიანება შექმნეს

— „გაერთიანებულმა პროფკავშირებმა" სიტყვიერი თანხმობა განაცხადა პროფკავშირების რეფორმირებაზე, მის როლსა და მნიშვნელობაზე საერთოეროვნული დისკუსიის დაწყებაზე. თუმცა „პროფკავშირების" ოფისში მისულ აფბას წევრებს შემოგვთავაზეს ერთსაათიანი მოხსენება „კომპარტიის ცეკას" მოხსენების სტილში, არაფრისმთქმელი ფრაზებით და ფორმალური აქტივობების ჩამონათვალით. დიალოგისას პროფკავშირების ლიდერი დემაგოგიური განცხადებებით შემოიფარგლებოდა, შეურაცხმყოფელ განცხადებებს აკეთებდა

და განზრახ არიდებდა თავს საგნობრივ დისკუსიას, — აღნიშნა მერაბ ჯანიაშვილმა.

მისივე ინფორმაციით, პროფკავშირი უარს ამბობს მათთან დისკუსიის გაგრძელებაზე, უარს ამბობს ამ დისკუსიისთვის ფართო ხასიათის მიცემასა და სამოქალაქო საზოგადოების სხვა წარმომადგენლების მასში ჩართვაზე.

— განსაკუთრებით, ეწინააღმდეგებიან ისინი ექიმების, მასწავლებლების, სახელმწიფო მოხელეების, მეცნიერების ჩართვაზე ამ პროცესში, იმის ახსნაზე, რატომ არ იცავს პროფკავშირი მათ ინტერესებს და საერთოდ, რატომ არ აქტიურობს. ხომ არ არის ეს მათი ხელისუფლებასთან ფარული ალიანსის გამოხატულება, — მიუთითებენ აფბელები.

გაერთიართიანებულ პროფკავშირებს ისინი მოუწოდებენ, დაუყოვნებლივ გააკეთონ განმარტება, რატომ არ იცავენ VIII საავადმყოფოს ქუჩაში გამოყრილი ექიმების ინტერესებს, რატომ შეიქმნა ფაქტობრივად ალტერნატიული ექიმთა პროფკავშირი და რატომ არის ფორმალური ის პროფკავშირი, რომელსაც ჯანაშია ხელმძღვანელობს.

**პრაიმ-ნიუსი**

## გოგა ხაჩიძეს ჩეხი კოლეგა ეწვია



საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს ჩეხეთის გარემოს დაცვის მინისტრი ტომას ხაპულა ოფიციალური ვიზიტით ეწვია და გოგა ხაძიძეს შეხვდა. როგორც „მედიანიუსს" სამინისტროდან აცნობეს, შეხვედრაზე ჩეხეთის დელეგაცია ქართულ გარემოს დაცვის სისტემას და მის მიმდინარე საქმიანობას გაეცნო. ტომას ხაპულას ვიზიტი იმ თანამშრომლობის გაგრძელების დამადასტურებელია, რომელიც საქართველოსა და ჩეხეთს შორის წლებია მიმდინარეობს.

ვიზიტის ფარგლებში ორი ქვეყნის გარემოს დაცვის სამინისტროებს შორის გარემოს დაცვის საკითხებში თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმი გაფორმდა, რომელიც პრაღაში გოგა ხაჩიძის ვიზიტის დროს დასახული მიზნების და გეგმების განხორციელებას უზრუნველყოფს.

ჩეხეთის დელეგაციის ვიზიტი 2 დღე გაგრძელდება.

**მედიანიუსი**

## უგულავამ ღვაწლმოსილ პედაგოგებს სიგელები და მედლები გადასცა



თბილისის მერიის ინიციატივით რიყის პარკში ხელოვნების სკოლების მოსწავლეთა მონაწილეობით კონცერტი გაიმართა, სადაც თბილისის მერმა გიგი უგულავამ სახელოვნებო სკოლების ღვაწლმოსილ პედაგოგებს სიგელები და მედლები გადასცა.

კონცერტის პარალელურად სამხატვრო სკოლის მოსწავლეების ნამუშევრების გამოფენა მოეწყო, რომლის დათვალიერება ნებისმიერ მსურველს შეეძლო. მსგავსი ღონისძიებები ხელს შეუწყობს სახელოვნებო სკოლების პოპულარიზაციას. ღონისძიებაში მონაწილე ყველა ბავშვს „აკვაპარკის" მოსაწვევები გადაეცა. მერიის ინიციატივით ყოველ შაბათ კვირას დასასვენებელ პარკებში კონცერტები და გამოფენები მოეწყობა.

**პრაიმ-ნიუსი**

# რობერტ სტურუა საქართველოდან მიდის

ეკა ირემაშვილი

**30 აგვისტოს რეჟისორი რობერტ სტურუა საქართველოს დატოვებს. ჩვენი ქვეყნიდან გამგზავრებამდე კი მან სამომავლო გეგმები ჟურნალისტებს გაუმხილა და ყველა იმ თემაზე ისაუბრა, რომელიც ქართველ საზოგადოებას ასე აინტერესებს.**

როგორც რეჟისორმა განაცხადა, ის რუსეთში მიდის და უკვე თანახმაა იმუშაოს ალექსანდრე კალიაგინის თეატრში „ეტ სეტერა“.

— მე მაქვს ვალდებულება „ეტ სეტერას“ წინაშე. ჩემთვის ყველაზე მისაღები წინადადება სწორედ მათგან მოდის. პირველ რიგში, მიყვარს მსახიობი კალიაგინი და ალბათ, ამ წინადადებას მივიღებ, თუმცა ჯერ გადაწყვეტილი არაფერია. „ეტ სეტერაში“ თავი ისე ვიგრძენი, როგორც საკუთარ სახლში. როდესაც არჩევანს 3-4 მანდილოსანს შორის აკეთებ, რთულია აღწერო, რატომ აკეთებ რომელიმე მათგანზე არჩევანს. ამჯერად ოდესაში მივფრინავ, სადაც „ეტ სეტერას“ გასტროლებია, — განუცხადა ჟურნალისტებს რეჟისორმა „რია ნოვოსტის“ ოფისში გამართული ვიდეოხიდის მსვლელობისას.

ჟურნალისტის შეკითხვაზე, ეშინია თუ არა მას რეპრესიების, რობერტ სტურუამ უპასუხა:

— რეპრესიების მეშინია თუ არა? მგონი ახლა სხვა დროა, მაგრამ შეიძლება საღამოს სახლში წავიდე და თავში აგური დამეცეს, ჩემი 5 წლის შვილიშვილს უცებ ნარკოტიკი ან იარაღი უპოვონ, დახვრეტით ალბათ არ დამხვრეტენ, — აღნიშნა რობერტ სტურუამ.

„რია ნოვოსტის“ ოფისში გამართული ტელეხიდისას კი ჟურნალისტები დაინტერესდნენ, დაბრუნდება თუ არა ისევ საქართველოში რობერტ სტურუა.

— რა თქმა უნდა, საკუთარი ქვეყნის დატოვება არავის სურს, თუმცა არის მომენტები, როდესაც გსურს ყველაფერი მიატოვო. საქართველოდან წასვლა გამიჭირდება, რადგან თეატრი ენასთან არის დაკავშირებული, ენა კი ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. ვფიქრობ, გამიჭირდება დაბრუნებაც, მიუხედავად იმ დათმობებისა, რომელზეც თეატრი წავიდა. არ ვიცი, ამ ეტაპზე ისეთ განწყობაზე ვარ, რომ — არა, რადგან საქმე თავმოყვარეობას ეხება, როდესაც შერცხვენილი ადამიანი ბრუნდები ოჯახში, მას არ შეუძლია იყოს სრულყოფილი ოჯახის წევრი. ძალიან რომ მინდოდეს დაბრუნება, მაინც ვერ გავაკეთებ,



რადგან ის, რაც იყო, უკვე დასრულდა. როდესაც განცხადება მომიტანეს, ის განცდა არ მქონია, რაც უნდა მქონოდა. სულ რაღაც 2 კვირაა, რაც ეს ამბავი მოხდა, ჯერ გონზე მოსვლა მჭირდება. ქუჩაში სიარული მიჭირს, რადგან ყველა გაზეთზე ჩემი ფოტოა, ასეთი სკანდალებიც მაღიზიანებს. გმირი ვერ გავხდები, მაგრამ სკანდალური გმირი უკვე ვარ, — განაცხადა რობერტ სტურუამ.

თავად რეჟისორი რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელობიდან მისი მოხსნის საკითხს „შემოგდებულ ფანდს“ უწოდებს.

— შეიძლება არასწორად ჩამოვაყალიბე აზრი, მაგრამ მინდოდა მეთქვა, რომ ჩემი ქვეყნის პრეზიდენტი ქართველი უნდა იყოს და თუ ის ნახევრად ქართველია, ამას არ მალავდეს. მე ვთქვი, რომ ის სომეხია, ეს არ არის საწყენი. თუ რომელიმე სომეხი ან რუსი გულზე ხელს დაიდებს და იტყვის, რომ სურს ქართველი პრეზიდენტი ჰყავდეს, ჩემი სიტყვებისთვის ბოდიშს მოვიხდი. მე მრავალეროვან ქალაქში გავიზარდე. 100 მეტრის რადიუსში თბილისში სინაგოგაც არის, მეჩეთიც, სომხური და ქართული ეკლესიებიც. მე ვიზრდებოდი იტალიურ ეზოში და მყავდა სომეხი მეგობრები. მათ არ ჰქონდათ ჩემი მოხსნის საბაბი და მთავრობამ გადაწყვიტა ეს „შემოეგდო“, რაც გახდა კიდეც ჩემი გამოშვების მიზეზი. რეალურად ჩემი გათავისუფლება ამ ხელისუფლების ღია კრიტიკა გახდა, — აღნიშნა რეჟისორმა.

რეჟისორი კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის ნიკოლოზ რურუას განცხადებასაც გამოეხმაურა.

— მე არასდროს ვყოფილვარ ერთ ადგილზე გაჩერებული. მათ სურდათ, 3 თვეში ერთხელ დამედგა სპექტაკლი, მე კიდევ ამისთვის დრო მჭირდებოდა. თუ ბოლო სპექტაკლი იგულისხმა, მინდა ვუთხრა, რომ მე იმ პერიოდში საქართველოში არ ვიმყოფებოდი და სპექტაკლი 6 თვეში დავდგი. მე ყოველთვის იმას ვაკეთებდი, რაც მსურდა, ახლაც ვფიქრობ, რომ სამარცხვინო არაფერი ყოფილა. ხშირად არ წავსულვარ კომპრომისებზე. არ მიკეთებია ის, რაც ჩემი საქმე არ არის. შემიძლია ვთქვა, რომ ბედნიერი ადამიანი ვარ.

რობერტ სტურუამ რუსთაველის თეატრის მსახიობებზეც ისაუბრა. რეჟისორის მოხსნა მსახიობებმა გააპროტესტეს. სამხატვრო ხელმძღვანელის დაბრუნების შესახებ განცხადებას თეატრის 70-მა თანამშრომელმა მოაწერა ხელი. მისი თქმით, არსებობენ ადამიანები, რომლებიც ამბობენ, რომ ეს ყველაფერი სცენარით იყო გათვალისწინებული.

— მე კი ასე არ ვფიქრობ, ასევე ჭორი იყო, რომ სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობას გააუქმებენ, თუმცა, ეჭვი მეპარება ეს მოხდეს, რადგან ეს თანამდებობა მოგონილი არ არის. თეატრი სამხატვრო ხელმძღვანელის გარეშე წარმოუდგენელია. ალბათ, არც არაფერი მოხდება და სამხატვრო ხელმძღვანელად ვინმეს დანიშნავენ. წავალ მე, მოვლენ სხვები, რუსთაველის თეატრი ამით არ დასრულდება. თუ ვიღაც მსახიობები იმ გუნდს არ აყვნენ, რომელიც მე მიცავს, ამაზე არ ვინერვიულებ და ნორმალურად მივიღებ. რთულია, ახალგაზრდამ აკრიტიკოს ის ქვეყანა, სადაც უნდა აეწყოს. აქედან გამომდინარე, შემიძლია ჩემი პოზიცია დავაფიქსირო და ხელისუფლების დამოკიდებულება ვაკრიტიკო. კარგია, რომ არ მიცავენ, რადგან ამისთვის მათ უნდა ილაპარაკონ და თუ ილაპარაკეს, ისინი მე დამადანაშაულებენ. მე არა მგონია ომბუდსმენების ან საერთაშორისო ორგანიზაციების დაცვა მჭირდებოდეს, რადგან ჩემი გათავისუფლების ბრძანებაში მიზეზი ნახსენები იყო, — აღნიშნა რობერტ სტურუამ.

# საქართველოს დელეგაცია შვედეთის სამეფოში გაემგზავრა

ეკა ირემაშვილი

სტოკჰოლმის ბიზნესის ისტორიის ცენტრის მიწვევით საქართველოს დელეგაცია შვედეთის სამეფოში გაემგზავრა, რომელსაც იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის გენერალური დირექტორი თეონა იაშვილი ხელმძღვანელობს.

საქართველოს დელეგაციის ვიზიტი საპასუხოა შვედეთის სამეფოს დელეგაციის ვიზიტისა, რომელიც 2011 წლის მარტში შედგა და რომლის მიზანი XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე საქართველოში ძმები ნობელებისა და შვედური კომპანიების მოღვაწეობის ისტორიის შესწავლა იყო. მხარეთა შეთანხმებით დაიწყო „ძმები ნობელების ისტორიის შესწავლის პროექტი“, რომელშიც ჩართულია ეროვნული არქივი. პროექტი მიზნად ისახავს საქართველოში არსებული საარქივო დოკუმენტებისა და ცნობების მოძიებასა და განთავსებას სპეციალურად შექმნილ ვებგვერდზე.

სტოკჰოლმის ბიზნესის ისტორიის ცენტრი თანამშრომლობის მემორანდუმებს გააფორმებს საქართველოს ეროვნულ არქივთან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საარქივო სამმართველოსა და ბათუმის ძმები ნობელების ტექნოლოგიურ მუზეუმთან.

საქართველოს დელეგაციის ვიზიტი შვედეთში 2 სექტემბერს დასრულდება.

# ნიკოლოზ რურუა ლატვიას ესტუმრა

ეკა ირემაშვილი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი ნიკოლოზ რურუა ოფიციალური ვიზიტით ლატვიის დედაქალაქში, რიგაში იმყოფებოდა. საქართველოსა და ლატვიის კულტურის სამინისტროებს შორის მაისის თვეში მემორანდუმი გაფორმდა, რაც ამ ორ ქვეყანას შორის კულტურის ყველა სფეროში თანამშრომლობას გულისხმობს.

ლატვიაში ვიზიტის ფარგლებში საქართველოს კულტურის მინისტრი ლატვიის ხელოვნების მუზეუმის „რიგის ბირჟა“ გახსნას დაესწრო. პრეზენტაციაზე ლატვიის მოქმედი პრეზიდენტი ანდრის ბერზინში, ლატვიის კულტურის მინისტრი სარმიტ ელერტე, ლიტვის კულტურის მინისტრი, პრემიერ-მინისტრი, ქვეყნის ექსპრეზიდენტი, სხვა ოფიციალური პირები და მოწვეული სტუმრებიც იმყოფებოდნენ. ნიკოლოზ რურუა ლატვიის დედაქალაქის 810 წლის იუბილესადმი მიძღვნილ ღონისძიებაზეც იმყოფებოდა.

— ლატვიელ კოლეგასთან შეხვედრისას რიგაში მინიმუმ, ორი მნიშვნელოვანი გამოფენის მოწყობის შესახებ მოვილაპარაკეთ. 2014 წელს, როცა რიგა ევროპის კულტურის დედაქალაქი გახდება, აქ ქართველი მხატვრის ნიკო ფიროსმანის გამოფენას მოვაწყობთ. შესაძლოა, კოლხური ოქროს ნიმუშებიც ჩამოვიტანოთ, რომელსაც არქეოლოგებმა მიაკვლიეს. ეს ექსპოზიცია უკვე იმყოფებოდა ამერიკაში, კანადასა და ბალტიისპირეთში. მანამდე კი ლატვიაში ქართული კინოს კვირეული გაიმართება. ლატვიელ კინემატოგრაფისტებს კი მოვუწოდებ, ლატვიური კინოს ფესტივალი თბილისშიც ჩავატაროთ, — განაცხადა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა.

ლატვიური გაზეთ „ტელეგრაფის“ ჟურნალისტი იმითაც დაინტერესდა, მართლა იკრძალება თუ არა ქართულ რესტორნებში რუსული სიმღერების შესრულება, რაზეც ნიკოლოზ რურუამ უპასუხა:

— ქართულ რესტორნებში რუსული სიმღერების აკრძალვის შესახებ ინფორმაცია სრული სისულელეა. ამ დეზინფორმაციაზე სერიოზული პასუხის გაცემაც კი არ მსურს. არ ვიცი, ეს ინფორმაცია საიდან მოვიდა. ყოველ შემთხვევაში, ასეთი ოფიციალური აკრძალვები ჩვენთან არც კი შეიძლება არსებობდეს. ვფიქრობ, ასეთი დეზინფორმაცია ჩვენი ტერიტორიების ოკუპაციის გაგრძელებითაა გამოწვეული. ეს აუცხოებს ხალხებს და კულტურული დაახლოების ყოველგვარ სურვილს უკარგავს მათ.



ლატვიური გაზეთი რობერტ სტურუას თემითაც დაინტერესდა, რაზეც ნიკოლოზ რურუამ ლატვიელ ჟურნალისტს ამომწურავი პასუხი გასცა:

— რეჟისორი რობერტ სტურუა შოთა რუსთაველის სახელობის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობიდან იქნა გათავისუფლებული, თუმცა მას შეუძლია, სპექტაკლები როგორც ამ, ისე სხვა ნებისმიერ თეატრში დადგას. სტურუას გათავისუფლების შესახებ ბრძანებას ხელი მე მოვაწერე და ეს საქმიდან გამომდინარე გავაკეთე. ბოლო პერიოდში მან ეთნიკური ხასიათის რამდენიმე განცხადება გააკეთა. უცნაური რამეები თქვა სომხებზე, თურქებსა და შავკანიანებზე. ისეთ მრავალეთნიკურ სახელმწიფოში, როგორიც საქართველოა, ეს ცუდი შედეგების მომტანია. როცა მსგავსი განცხადებები ისეთი ადამიანების მიერ კეთდება, როგორიც ბატონი სტურუაა, ეს სახიფათოა და ასეთ შემთხვევებში სახელმწიფო პოზიციის დაფიქსირება აუცილებელია, ამიტომაც გადავდგი ასეთი ნაბიჯი. ვაღიარებ, რომ ამის გაკეთება არც ისე სასიამოვნო იყო. ვაფასებ ამ ადამიანს, როგორც რეჟისორს, მიყვარს მისი სპექტაკლები და არაერთხელ მინახავს ისინი. ასევე უნდა ვაღიარო, რომ ბოლო პერიოდში რუსთაველის თეატრში ის ბევრს არ მუშაობდა და გარკვეულ პასიურ ფაზაში გადავიდა. ყველაფრის მიუხედავად, ვფიქრობ, სწორად მოვიქეცით, — განაცხადა ნიკოლოზ რურუამ.


## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ბუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი“.

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.




იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი
იღუმენია ანა (მუსელიანი)



## განცხადებები

- იყიდება, მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში (თბილისიდან 30 კმ-ში), 2000 კვ.მ. საკარმიდამო მიწის ნაკვეთი ხეხილით, სასმელი და სარწყავი წყლით (შეიძლება ნაწილ-ნაწილად). 1 კვ.მ.-ის ფასი 2 დოლარი. ტელ: 8790 53-02-41; 253-15-87.
- იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.
- ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 558-96-89-15 ან 234-02-38 ექიმი მეგი.
- მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 234-02-38; 558-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.

# დინამო და ზესტაფონი ეროვნულ ჩემპიონატს მშვიდობით დაუბრუნდნენ

**დინამო — ზესტაფონი 2:2**

**თბილისი.** ეროვნული სტადიონი. 1.500 მაყურებელი

0:1 გორგიაშვილი (21), 0:2 დვალი (61), 1:2, 2:2 ჩისკო (77, 90)

**დინამო:** ლორია, ოდიკაძე, თომაშვილი, კაკუბავა, რეხვიაშვილი, კვეკვესკირი (კოშკაძე 69), ალვარო, ჯილაური (კოტო 62), რობერტინიო, კახელიშვილი (ჩისკო 46), იაგუე

**ზესტაფონი:** მამალაძე, ალადაშვილი, ონიანი, კობახიძე, ლონლაძე (ელიავა 46), გორგიაშვილი, ბაბუნაშვილი, გრიგალაშვილი, აფციაური, ჭანკოტაძე (ძარია 46), ლომია (დვალი 54)

ორივე გუნდმა ევროსარბიელზე გამოსვლა რამდენიმე დღის წინ დაასრულა და იმასაც ვიტყვით, რომ არცთუ ურიგო თამაში უჩვენებიათ. იყო საუბარი იმაზეც, რომ გუნდები გადაღლილი იქნებოდნენ და მატჩი გადადებულიყო, თუმცა მაინც გაიმართა და საკმაოდ საინტერესოდ და დაძაბულად ჩაიარა.

პრინციპში უკვე დროა მიეჩვიენ ქართული გუნდები იმ რეჟიმს, რაც ევროპაში ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, მაგრამ ამ ეტაპზე სჯობდა, ეს შეხვედრა სხვა დროს გამართულიყო, რადგან ევროპული მატჩებით გადაღლილობამ მწვრთნელებს რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელის სათადარიგოთა სკამზე დასმა აიძულა.

პირველ ტაიმში იმერლები უკეთ გამოიყურებოდნენ, განსაკუთრებით კი, შოთა გრიგალაშვილი და გორგიაშვილი გამოირჩეოდნენ. თუმცა, ისიც აშკარა იყო, როგორ აკლდათ სტუმრებს ნიკა გელაშვილჯაბა დვალის დუეტი. ისე, არც „დინამო“ იყო ოპტიმალური შემადგენლობით.

თუმცა, პირველი ხიფათი ზესტაფონელთა კართან შეიქმნა. პრინციპში სერიოზული არაფერი მოხდებოდა, გიორგი კახელიშვილის სუსტად დარტყმული ბურთი ზურაბ მამალაძეს ხელში რომ შეემაგრებია და ალბერტ იაგუეს დამატებაზე არ გაეტანა. თუმცა, ესპანელი თამაშგარე იმყოფებოდა და გოლიც გაუქმდა.

სახიფათო მომენტი მასპინძელთა კართანაც შეიქმნა, როცა გიორგი ლორია გამოსვლაზე თამაშისას დაეჯახა შემტევ საბა ლომიას და პენალტს ძლივს გადაურჩა, რადგან წესების დარღვევა ზედ საჯარიმოს ხაზთან მოხდა. დავძენთ იმასაც, რომ მეკარე ალბათ ყვითელ ბარათს იმსახურებდა.

20-ე წუთზე, ზესტაფონელთა მორიგი შეტევისას მცველებმა ბურთი პირდაპირ გორგიაშვილზე ამოიტანეს, რომელმაც მკერდით დააბრუნა „დინამოს“ საჯარიმოსთან, სადაც გიორგი ჭანკოტაძემ ვალი დაუბრუნა, გორგიაშვილი ერთი მოძრაობით შეიჭრა დასარტყმელ პოზიციაზე და ძლიერად დაარტყა — გიორგი ლორიას ბურთს ოდნავ გაჰკრა ხელი რაც საკმარისი აღმოჩნდა ბურთი ხარიხას მოხვდროდა, იქიდან ასხლეტილი კი მინდორზე დაეცა. რამდენიმე წამი მოედანზეც და ტრიბუნებზეც სრული სიწყნარე ჩამოვარდა და მხოლოდ კვარაცხელიას სასტვენმა გამოაცოცხლა — 1:0 ზესტაფონელთა სასარგებლოდ. არადა, ვიდეოგამეორებაზე აშკარად ჩანს, რომ თორნიკე გორგიაშვილის დარტყმულს კარის ხაზი არ გადაუკვეთავს. დინამოელთა პროტესტი პროტესტად დარჩა. მეტიც, გიორგი ლორიამ და ალექსანდრე კაკუბავამ შეკამათებისთვის ყვითელი ბარათებიც მიიღეს.

პირველ ტაიმში დინამოელებს ერთი ხეირიანი და აზრიანი მოედანზე არაფერი გაუკეთებიათ, იმერლებს კი კიდევ რამდენიმე შანსი ჰქონდათ. ჯერ კარგ პოზიციაში დარჩენილი თორნიკე აფციაური შეყოვნდა და სანამ ბურთს მისთვის სასურველ მარჯვენა ფეხზე გადაიტანდა, დრო დაკარგდა და დარტყმა კარგი არ გამოუვიდა, შემდეგ კი კახაბერ ალადაშვილი გავიდა მარჯვენა ფლანგზე, მაგრამ თანაგუნდელები დროულად ვერ მიყვნენ და ზესტაფონელთა მცველს გამწვავების ნაცვლად საჯარიმოს სიღრმეში მოუწია პასის გაკეთება და ხიფათიც განიმუხტა.

მე-2 ნახევარში ტემპი გაიზარდა. გარსიამ და ჭიაბრიშვილმაც ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელებიც დატვირთეს.

„ზესტაფონი“ არ თმობდა თამაშს და დაცვაში ჩადგომა არ უფიქრია. გრიგალაშვილი ისევ საუკეთესო იყო მოედნის ცენტრში და მალევე სტუმრებმა მეორე გოლიც გაიტანეს. 61-ე წუთზე გორგიაშვილმა კარგად გადაუტანა ბურთი მარჯვენა ფლანგზე აფციაურს, რომელმაც თავის მხრივ საჯარიმოში შეცვლაზე შესული ჯაბა დვალი მოძებნა, მანაც ერთი მცველი მოატყუა და დაარტყა. ბურთი მცველისგან ასხლეტით შევარდა კარში — 0:2.

„დინამომ“ ნელ-ნელა მოუმატა და ეს პირველ რიგში ალექსანდრე კოშკაძის დამსახურებაა, რომელიც მოგვიანებით შევიდა მოედანზე. თუმცა, პირველი გოლი მაინც ესპანელთა აქტიურობას მოჰყვა — კოტომ ჩააწოდა, ბურთმა ყველას ჩაუქროლა და ჩისკომ ახლოდან ცარიელ კარში შეაგდო — 1:2 და წინ კიდევ 13 წუთი იყო. უნდა აღვნიშნოთ, რომ მამალაძეს უკეთ თამაში მართებდა.

დარჩენილ დროში თბილისელებმა შეტევებს უმატეს, თუმცა, შტურმის სახეს ვერ აძლევდნენ. პირიქით, დვალსა და გრიგალაშვილს ჰქონდათ კარგი მომენტები — ჯაბამ გულვერდ თომაშვილი მოატყუა და მახვილი კუთხიდან ხეირიანად დარტყმა ვერ მოახერხა, გრიგალაშვილს კი ლორიამ აულო ურთულესი ბურთი.

და მსაჯის მიერ დამატებულ მე-3 წუთზე „დინამომ“ გაათანაბრა: რობერტინიომ ჩისკოს გააყოლა და სად იყო ამ დროს „ზესტაფონის“ დაცვა, საინტერესოა, 30 წლის ესპანელმა რბილად და ტექნიკურად დაურტყა მამალაძეს — 2:2.

დარჩენილ ერთ წუთში კიდევ ერთხელ გამოაჩინა ბრჭყალები „დინამომ“, დავით ოდიკაძე მარჯვნიდან გაიჭრა და საჯარიმოში ჩააწოდა, სადაც იაგუემ შემოტრიალებით დაარტყა, მაგრამ ააცილა.

**მატჩის შემდეგ:**

გიორგი ჭიაბრიშვილი, ზესტაფონის მთავარი მწვრთნელი:

— რთული მატჩი იყო. რომ არა ევროტურნირებზე გამოსვლისგან გადაღლა, დღეს ორივე გუნდი უკეთეს ფეხბურთს ითამაშებდა. ლოგიკური ფრეა. ეგაა, ბოლოს კონცენტრაცია რომ არ დაგვეკარგა, უკეთესს შედეგს მივიღებდით, მაგრამ... გელაშვილს ტრავმა აქვს და ამიტომ გამოტოვა მატჩი. კიდევ იყვნენ წამყვანი ფეხბურთელები, რომლებიც თავიდან არ ვათამაშეთ, როინ კვასხვაძე კი 90 წუთი დავასვენეთ. გუნდი დაღლილი იყო და კიდევ კარგი, შეკრებილი შემადგენლობა ვარირების საშუალებას გვაძლევს. რატომ არ გადაიდო მატჩი? არ ვიცი, ვერ გეტყვით. შესაძლოა, იმიტომ, რომ წინ სანაკრებო თამაშებია და ნაკრების მწვრთნელს სურდათ ფეხბურთელების საქმეში ნახვა. თუმცა, მადლობას ვუხდი „დინამოს“ მწვრთნელს, რომელმაც ბელგიაში გაფრენამდე გვითხრა, რომ ჩვენთან მატჩის გადადება სურდა — დაღლილები და ნამგზავრები იქნებით, ჩვენ კი გვინდა, დასვენებულებს გეთამაშოთ. „დინამოც“ დაღლილი იქნებოდა აეკ-თან მატჩის შემდეგ და ეს შეხვედრა სხვა დროს რომ გამართულიყო, უფრო კარგ ფეხბურთს ვნახავდით.

**ალექს გარსია, დინამოს მთავარი მწვრთნელი:**

— მძიმე მატჩი იყო. ჩემი შეგირდები მორალურადაც რთულ ვითარებაში იყვნენ, რადგან აეკ-თან მატჩის შემდეგ უცებ გადმორთვა გაუჭირდათ. კოშკაძისა და ჩისკოს ძირითადში არდაყენების მიზეზი გადაღლაა. ჩვენც მათ მივეცით თამაშის საშუალება, რომლებიც უფრო მხნედ იყვნენ. კარგი იყო, მატჩი გადადებულიყო, მაგრამ სამწუხაროდ, ასე არ მოხდა.

პ.ს. აქვე ზემოთ ნახსენებ არგასულ და ჩათვლილ გოლზე: „დინამოს“ ხელმძღვანელობამ უკვე გააკეთა განცხადება მომხდართან დაკავშირებით.

კლუბის პრესსამსახურის უფროსის, გიგა გვენცაძის თქმით, საწყენია, რომ ჩემპიონატის დასაწყისშივე უხდებათ საუბარი მსაჯების მოქმედებაზე.

— თბილისის „დინამოსა“ და „ზესტაფონის“ მატჩში, მთავარ არბიტრ ლევან კვარაცხელიასა და გვერდით არბიტრ ზაზა ფიფიას გადაწყვეტილებამ პირდაპირი ზეგავლენა იქონია...

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# თემურ ქეცბაია: — პასის მიმცემიც გვყავს, შემტევებიც და მცველებიც

2012 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში, 2 სექტემბერს ლატვიის ნაკრებს შეხვდება. თემურ ქეცბაიას გუნდმა შეკრება გუშინ დაიწყო, ხოლო მწვრთნელმა, თემურ ქეცბაიამ ტექნიკურ ცენტრ „ბასაში“ პრესკონფერენცია გამართა.

საქართველოს ეროვნული გუნდის თავკაცმა თემურ ქეცბაიამ განაცხადა, რომ მის შეგირდებს ჯგუფში მეორე ადგილის დაკავების თეორიული შანსი აქვთ და ამისთვის ყველაფერი უნდა გააკეთონ, რაც მათზეა დამოკიდებული.

***თემურ ქეცბაია:***

— რა თქმა უნდა, ყველა თამაში მნიშვნელოვანია და არ აქვს მნიშვნელობა, ამხანაგურია ის, თუ ოფიციალური. შესარჩევ ეტაპზე 7 მატჩი ჩავატარეთ და 3 კიდევ გვაქვს დარჩენილი. ფლეი ოფში მოხვედრის თეორიული შანსი კიდევ გვაქვს და ამისთვის უნდა ვიბრძოლოთ. ბევრჯერ მითქვამს, რომ ხორვატია, რომელსაც 4 მატჩი აქვს დარჩენილი, იმდენ ქულას აიღებს, რომ ჯგუფში პირველ ადგილზე გავიდეს. მე-2 ადგილზე გასვლის შანსი კიდევ არის და ჩვენი გასაკეთებელი უნდა გავაკეთოთ. ჯგუფში სხვა გუნდები ერთმანეთში როგორ ითამაშებენ, ჩვენზე არ არის დამოკიდებული. მძიმე თამაში გველის. იმედია, რომ ყველა ფეხბურთელი, ვინც შეკრებაზეა გამოძახებული, ჩამოვა და კარგადაც მოვემზადებით. ლატვიამ ბოლო თამაშები სუსტად ჩაატარა და თითქმის ყველა წააგო. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ აქ საბრძოლველად არ ჩამოვლენ. ლატვია კარგი გუნდია, რომელსაც გამოცდილი ფეხბურთელები ჰყავს. თუმცა, შინ ვთამაშობთ, საკუთარი გულშემატკივრების წინ და უნდა მოვიგოთ.

***— მომავალ თამაშს რამდენად ოპტიმალური შემადგენლობით ხვდებით?***

— ვინც საჭიროდ ჩავთვალეთ, ყველა გამოვიძახეთ. გამოირიცხა უჩა ლობჯანიძის თამაში, რომელიც ტრავმირებული ჩამოვიდა. სხვა ფეხბურთელებზე არ გვაქვს ინფორმაცია, რომ ტრავმირებული არიან, ან სხვა პრობლემები აწუხებდეთ. დღეს თუ არა, ხვალ გუნდი სრულად შეიკრიბება და ყველაფერი გვეცოდინება.

— როგორ შეაფასებთ საქართველოს ნაკრების ნახევარმცველ ბუბა დაუშვილის „ზესტაფონის“ დუბლშემადგენლობაში გადაყვანის ფაქტს? გასაგებია, რომ კლუბის შიდა საქმეებში ვერ ჩაერევით.

— რა თქმა უნდა, სამწუხაროა, რომ ასეთი რამ მოხდა. როგორც გავიგე, ფეხბურთელმა თამაშს უკლო და დუბლებში ამიტომ გადაიყვანეს. თუ ასეა, გუნდი და მწვრთნელი იმიტომ არსებობენ, რომ ფეხბურთელს გვერდში დაუდგნენ და დაეხმარონ. გაუგებარია, რომ ფეხბურთელი, რომელიც საქართველოს ჩემპიონატში



საუკეთესო იყო, დუბლებში გაუშვა. სამწუხაროდ, მარტო „ზესტაფონზე“ არაა საუბარი — დაუშვილი ნაკრებშიც თამაშობს. არავის საქმეში არ ვერევით, მაგრამ ნაკრების ინტერესი ყველამ უნდა გაითვალისწინოს. ჩვენ ჩვენი ხედვა გვაქვს, მათ — თავისი.

***— ლატვიელებისგან თუ ელით, რომ რიგაში ჩატარებული პირველი მატჩის მსგავსად, ბოლო წუთამდე ითამაშებენ და თავს არ დაზოგავენ?***

— ბევრჯერ მითქვამს, რომ არ აქვს მნიშვნელობა, ჯგუფიდან გასვლის შანსი გაქვს თუ არა — ყველა თამაშში ბოლომდე უნდა დაიხარჯოთ. ალბათ ასე იქნებიან ლატვიელებიც და მოსაგებად ყველაფერს გააკეთებენ. თავის მხრივ, გამარჯვებისთვის ჩვენც ყველაფერი უნდა გავიღოთ, რათა ფლეი ოფში მოხვედრაზე ვიოცნებოთ. ამასთან, უნდა ვიმედოვნოთ, ჯგუფის სხვა მატჩებშიც ჩვენთვის მისაღები ანგარიშები უნდა დაფიქსირდეს. ჯგუფიდან გასვლის შანსი შვიდი ტურის შემდეგ რომ გვაქვს, ბიჭების დამსახურებაა. მათ ყველაფერი გააკეთეს, რათა აქამდე მივსულიყავით. პირველიდან ბოლო წუთამდე ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რათა მოვიგოთ. დარწმუნებული ვარ, სასურველ შედეგს მივაღწევთ.

***— ეროვნული ნაკრების ამჟამინდელ შემადგენლობაში არ ჩანს ფეხბურთელი, რომელიც მწვავე პასს გააკეთებს და თამაშს საკუთარ თავზე აიღებს.***

— პასის მიმცემიც არის, გამტანიც და მცველიც. ასე რომ არ იყოს, მაშინ საერთოდ რა გვინდა? მესმის, რომ პრობლემებია, მაგრამ მომავალს იმედის თვალით ვუყურებ. მოდიან ახალგაზრდა, ნიჭიერი ბიჭები, რომელთაც დრო და თამაშები სჭირდებათ. ერთ-ორ წელიწადში ახალ ფეხბურთელს ვერ გავაჩენთ. რა რესურსიც არის, გუნდი იმისგან უნდა შევქმნათ. ნაკრები უნდა იყოს გუნდი. შესაძლოა, ათი ინდივიდუალისტი გყავდეს, მაგრამ გუნდი არ იყოს. ჩვენ გვჭირდება ფეხბურთელები, რომლებიც შედეგის მისაღწევად მოედანზე მაქსიმუმს გაიღებენ. ახალგაზრდებს მოსამატებლად დრო და პრაქტიკა ექნებათ.

***— რამდენად მნიშვნელოვანია ის ფაქტორი, რომ ნაკრებს თამაშის ჩატარება ეროვნული სტადიონის ნაცვლად „მიხეილ მესხზე“ მოუწევს, რომელიც გაცილებით ნაკლებ გულშემატკივარს იტევს?***

— სამწუხაროა, რომ ეროვნული სტადიონის მოედანი ასეთ ცუდ მდგომარეობაშია. გვეყო მსგავს მოედანზე თამაში. „მიხეილ მესხზე“ ბალახი ფანტასტიკურ მდგომარეობაშია. ისეთივე საფარია, როგორიც ბაზაზე გვაქვს. ბოლო ერთი თვის განმავლობაში ამ სტადიონზე ყველაფერი შეიცვალა — გასახდელები, ვიპ-ლოჟები, სკამები გარეცხეს და ფერი დაუბრუნდა. რაც მთავარია, მინდორია ფანტასტიკური. ყველა პირობაა შექმნილი კარგი ფეხბურთის სათამაშოდ.

— ევროტურნირებზე „ზესტაფონისა“ და „დინამოს“ მიერ ნაჩვენები შედეგიდან გამომდინარე გულშემატკივრები ელოდნენ, რომ ამ გუნდებიდან ნაკრებში უფრო მეტ ფეხბურთელს მიიწვევდით. ხომ არაა მოსალოდნელი ახალი მოთამაშეების დამატება 6 სექტემბერს მალტის ნაკრებთან სტუმრად გასამართი შეხვედრისთვის?

***— ვინც არიან, ისინი არიან. ფეხბურთელების დამატებას არ ვაპირებთ.***

პრესკონფერენციაზე ქეცბაიასთან ერთად დავით თარგამაძე იმყოფებოდა. უკრაინული „ოლექსანდრიას“ შემტევმა ნახევარმცველმა აღნიშნა, რომ გუნდი ლატვიასთან მხოლოდ გამარჯვებისთვის არის მომართული:

— ძალიან მნიშვნელოვანი თამაშია ნაკრებისთვის და ჩემთვისაც. ლატვია კარგი გუნდია და ვერ ვიტყვი, რომ იოლო მატჩი გველის. მთავარია, მონდომება არ გვაკლია და თბილისში ვთამაშობთ. ჯგუფში მეორე ადგილის დაკავების შანსი გვაქვს და ყველა თამაშზე მოსაგებად უნდა გავიდეთ.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ნიუკასლი-ფულემი ... 2:1
ტოტენჰემი-სიტი ... 1:5
ვესტ ბრომვიჩი-სტოკი ... 0:1
მანჩესტერი-არსენალი ... 8:2

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ნოტინგემი-ვესტ ჰემი ... 1:4
უოტფორდი-ბირმინგემი ... 2:2

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ატლეტიკო-ოსასუნა ... 0:0
ბილბაო-რაიო ... 1:1
მალიორკა-ესპანიოლი ... 1:0
ხეტაფე-ლევანტე ... 1:1
სარაგოსა-რეალი ... 0:6
სევილია-მალაგა ... 2:1

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ხიმნასტიკი-ვალიადოლიდი ... 0:3
მურსია-სელტა ... 1:3

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ჰანოვერი-მაინცი ... 1:1
შალკე-გლადბახი ... 1:0

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ბრაუნშვაიგი-ზ.პაული ... 1:0
ფრანკფურტი-პადერბორნი ... 0:0
მიუნხენ 1860-უნიონი ... 3:1

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

რენი-კაენი ... 3:2
სოშო-სენტ ეტიენი ... 2:1
ტულუზა-პსჟ ... 1:3
ლილი-მარსელი ... 3:2

**ჰოლანდია. ერედივიზიონი**

გრააფსხაპი-დენ ჰააგი ... 0:3
გრონინგენი-ალკმაარი ... 0:3
ფეინოორდი-ჰერენვენი ... 2:2
პსვ-ექსელსიორი ... 6:1

**ჰოლანდია. მე-2 დივიზიონი**

ალმერე-აპელდორნი ... 4:1
ვოლენდამი-იგლზი ... 2:2

**პორტუგალია. ა ლიგა**

რიო ავე-ოლჰანენსე ... 0:1

# შედეგები

გიმარაეში-ბეირა მარი ... 0:3
ფეირენსე-ფერეირა ... 0:0
სპორტინგი-მარიტიმუ ... 2:3

**რუსეთი. პრემიერლიგა**

დინამო-ნალჩიკი ... 2:0
ზენიტი-კრასნოდარი ... 5:0
რუბინი-კრ.სოვეტოვი ... 1:0
სპარტაკი-ცსკა ... 2:2
ყუბანი-ლოკომოტივი ... 0:1

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

სტ.მირენი-სელტიკი ... 0:2
რეინჯერსი-აბერდინი ... 2:0
ჰართსი-ჰიბერნიანი ... 2:0

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ზალცბურგი-რაპიდი ... 0:0
რიდი-კაფენბერგი ... 1:0
აუსტრია-ადმირა ... 2:4

**ბელგია. პროლიგა**

ბრიუგე-ანდერლეხტი ... 1:1
ბეერსხოტი-სტანდარდი ... 1:1

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ბაზელი-თუნი ... 2:1
სიონი-სერვეტი ... 0:4
იანგ ბოიზი-ციურიხი ... 2:3

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

კერკირა-პანათინაიკოსი ... 0:2
პანიონიოსი-ერგოტელისი ... 2:2
პაოკი-ქსანთი ... 1:0

**ჩეხეთი. გამბრინუსლიგა**

ჟიჟკოვი-სიგმა ... 2:2
ჰრადეც კრალოვე-პრჟიბრჟამი ... 0:1
ბუდეოვიცე-იაბლონეცი ... 1:5

**პოლონეთი. ეკსტრაკლასა**

შლიონსკი-ვიძევი ... 1:2

*ვიძევის პირველი გოლი ნიკა ძალამიძემ გაიტანა*

რუხი-იაგელონია ... 1:0

უკრაინა. ... პრემიერლიგა

ილიჩევეცი-ვორსკლა ... 4:1
დნიპრო-დინამო ... 0:4
ჩერნომორეცი-შახტარი ... 2:2
კარპატი-მეტალისტი ... 1:2

**დანია. სასლიგა**

ოდენსე-სონდერიისკე ... 2:4
ნორდსიელანდი-ლუნგბიუ ... 4:0
მიდტიულანდი-ბრონდბიუ ... 2:1
კოპენჰაგენი-სილკებორგი ... 2:1

**შვედეთი. ალსვენსკა**

გეფლე-ჰაკენი ... 2:2
ჰელსინბორგი-იორებრო ... 2:0
აიკი-სირიანსკა ... 1:0
გაისი-მიალბი ... 3:0
მალმიო-ელფსბორგი ... 2:1

**ნორვეგია. ტიპელიგა**

ვიკინგი-სტაბეკი ... 1:0
ლილესტრიომი-სონგდალი ... 0:3
სტარტი-სარპსბორგი ... 1:0
ფრედრიკსტადი-სტრომგოდსეტი .. 1:1
ალესუნდი-მიოლდე ... 1:3

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

როვანიემი-ვაასა ... 0:0
ჰონკა მარიეჰამნი ... 2:0

**ბრაზილია. სერია ა**

გრემიო-ინტერნასიონალი ... 2:1
პალმეირასი-კორინთიანსი ... 2:1
სანტოსი-სან პაულუ ... 1:1
სეარა-ბაია ... 3:0
ფლამენგო-ვასკუ ... 0:0
ატლეტიკო(მ)-კრუზეირო ... 1:2
ფიგუირენსე-ავაი ... 2:3

**არგენტინა. აპერტურა**

კოლონი-უნიონი ... 0:2
ბელგრანო-ოლდ ბოიზი ... 2:3
ბოკა-სან ლორენცო ... 1:1
არხენტინოსი-ინდეპენდიენტე ... 0:0

**კალათბურთი**

**ამხანაგური მატჩი**

გერმანია-მაკედონია ... 81:65



# ანქვაბის ინაუგურაცია 26 სექტემბერს გაიმართება

აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტის ინაუგურაცია 26 სექტემბერს გაიმართება. ამის შესახებ რია ნოვოსტი„ იუწყება.

ე.წ. პარალემენტის თავმჯდომარის მოადგილის, ვიაჩესლავ ცუგბას განცხადებით, ცერემონია საპრეზიდენტო არჩევნებიდან ზუსტად ერთი თვის შემდეგ დაინიშნა.

— პრეზიდენტი პარლამენტისა და უმაღლესი სასამართლოს წინაშე დადებს ფიცს, — აღნიშნა ცუგბამ.

აფხაზეთში ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნები 26 აგვისტოს გაიმართა. ხმათა 54,9% -ით ალექსანდრე ანქვაბმა გაიმარჯვა.

**ინტერპრესნიუსი**

# ამერიკული თეთრი პეპლს მატლმა სამეგრელოში საცხოვრებელ სახლებშიც შეაღწია



ამერიკული თეთრი პეპელას მატლმა სამეგრელოს სოფლებში იმდენად მომრავლდა, რომ მცენარეების დაზიანებასთან ერთად, საცხოვრებელ სახლებშიც შეაღწია.

ზუგდიდის რაიონის სოფლებში მცხოვრები მოსახლება აცხადებს, რომ სახელმწიფომ მცენარეები ერთხელ უკვე შეწამლა, თუმცა მხოლოდ მცირე მასშტაბით და ეს საკმარისი არ არის. მოსახლეობა ხელისუფლებისგან დახმარებას ითხოვს.

როგორც „მედიანიუსს“ ვეტერინარიის, მცენარეთა დაცვისა და სურსათის უვნებლობის სამსახურში განუცხადეს, ამ დროისათვის სახელმწიფო ახორციელებს პროგრამას „ფიტოსანიტარული კეთილსაიმედოობა და მცენარეთა დაცვა“, რომელიც განსაკუთრებით საშიშ და საკარანტინო მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლას ითვალისწინებს.

როგორს სურსათის უვნებლობის სამსახურში აცხადებენ, პროგრამა მთელი ქვეყნის მასშტაბით ხორციელდება.

— პროგრამის შესაბამისად გადანაწილდა პრეპარატები და ტექნიკა, რაც სახელმწიფოს მიერ იყო გამოყოფილი. დაგეგმილი იყო გარკვეული ტიპის სამუშაოების შესრულება და ამ წუთშიც გრძელდება, როგორც ამერიკული თეთრი პეპლის, ასევე სხვა მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლა. ამ ეტაპზე წამლობა დასავლეთ საქართველოში მიმდინარეობს, — ირწმუნებიან სურსათის უვნებლობის სამსახურში.

მათი ინფორმაციით, მცენარეების ერთჯერადი შეწამვლა სრულიად საკმარისია და სპეციალისტების რეკომენდაციით, წამლობა მხოლოდ მავნებლის აქტიური გავრცელების კერაში ხორციელდება.

**მედიანიუსი**

# ევროკავშირი არ ცნობს აფხაზეთის საპრეზიდენტო არჩევნებს

ევროკავშირი არ ცნობს იმ კონსტიტუციურ და იურიდიულ ჩარჩოებს, რომლითაც აფხაზეთში არჩევნები ჩატარდა.

ამის შესახებ საერთაშორისო საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის, ქეთრინ ეშტონის პრესსპიკერმა განაცხადა.

მისი თქმით, ეშტონმა ევროკავშირის სახელით კიდევ ერთხელ დაადასტურა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისადმი მხარდაჭერა.

— ამ კონტექსტში მინდა განსაკუთრებით აღვნიშნო რეგიონში სტაბილურობისა და უსაფრთხოების შესახებ ჟენევის საერთაშორისო მოალაპარაკებების მნიშვნელობა რეგიონში სტაბილურობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, — ნათქვამია ესტონის განცხადებაში.

სეპარატისტულ აფხაზეთში ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნები 26 აგვისტოს ჩატარდა და ახალი პრეზიდენტი ალექსანდრე ანქვაბი გახდა.

**პრაიმ-ნიუსი**

# ცხინვალში ავტომანქანა ააფეთქეს

ცხინვალში 28 აგვისტოს, გვიან ღამით ავტომანქანა ააფეთქეს, — ამის შესახებ რუსული საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან.

ავტომობილი „ნივა“, რომლის მფლობელის ვინაობაც ჯერ არ სახელდება, ჩკალოვისა და ოსტაევას ქუჩის კუთხეში აფეთქდა. წინასწარი ინფორმაციით, აფეთქება ხელნაკეთმა ასაფეთქებელმა მოწყობილობამ გამოიწვია.

დაღუპულები და დაზარალებულები არ არიან. მომხდარის მიზეზები ამ დროისთვის უცნობია. მიმდინარეობს გამოძიება.

**ინტერპრესნიუსი**

# პაციენტმა სასწრაფო დახმარების ბრიგადის ექთანს სცემა

თელავის რაიონის სოფელ ბუშეტში მცხოვრებმა 26 წლის მამაკაცმა სასწრაფო სამედიცინო დახმარების ექთანს ნინო ჯანგირაშვილს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. მამაკაცის ოჯახის წევრების თქმით, სასწრაფო დახმარების ბრიგადა გამოძახების ადგილზე დროულად არ მივიდა, რამაც პაციენტი გააღიზიანა, — აცნობეს „მედიანიუსს“ კახეთის საინფორმაციო ცენტრიდან.

თელავის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურის ექიმის ლელა ლოქაფიშვილის თქმით, ავადმყოფის ახლობლები მათ მიმართ მისვლისთანავე აგრესიულები იყვნენ, ექიმებს ჯერ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს, ხოლო შემდეგ ავადმყოფი ექთანს ეცა, წიხლი ჩაარტყა და თმებით ითრია.

ინციდენტის შემდეგ ექთანი თელავის საავადმყოფოში მოათავსეს, სადაც მას სამედიცინო დახმარება გაუწიეს.

შს თელავის რაიონულ სამმართველოში არ აკონკრეტებენ, აღძრულია თუ არა მომხდართან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე.

თელავის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურის ინფორმაციით, ეს პაციენტის მიერ ექიმების შეურაცხყოფის პირველი შემთხვევა არ არის. 8 აგვისტოს, ექიმებს სოფელ ყარაჯალაში ცემეს.

**მედიანიუსი**

# უამინდობის გამო კახეთში რთველი ჯერაც არ დაწყებულა

უამინდობის გამო კახეთში ყურძნის დაკრეფა ამ დრომდე არ დაწყებულა.

რადიო „ჰერეთის“ ცნობით, „რთველი 2011“-ის შტაბი რეგიონში ჯერ კიდევ გასულ კვირაში ოფიციალურად გაიხსნა თუმცა, როგორც რეგიონის სამხარეო ადმინისტრაციაში განაცხადეს, წვიმიანი ამინდების გამო ყურძენი სათანადო კონდიციამდე მისული არ არის, ამიტომ მისი დაკრეფა ვერ ხერხდება.



მათივე ინფორმაციით, ყურძნის ხარისხს ყოველდღიურად ამოწმებენ და როგორც კი მოსავალი სათანადო შაქრიანობას მიირებს, რთველი დაიწყება.

წელს რეგიონში 120 ათას ტონამდე მოსავალს ელოდებიან, რაც შარშანდელზე გაცილებით მეტია. თუმცა, კახეთის სამხარეო ადმინისტრაციაში დარწმუნებული არიან, რომ გლეხებს ყურძნის ჩაბარების პრობლემა არ ექნებათ, რადგან მოსავლის ხარისხი უფრო მაღალია.

კახეთში გლეხები 1 კილოგრამ „რქაწითელზე“ სახელმწიფოსგან დამატებით 15 თეთრს, ხოლო „საფერავზე“ 25 თეთრს მიიღებენ.

რთველის დაფინანსება წელს შარშანდელთან შედარებით 4 მილიონით გაიზარდა და 10 მილიონს შეადგენს.

**პრაიმ-ნიუსი**

# დინამო და ზესტაფონი ეროვნულ ჩემპიონატს მშვიდობით დაუბრუნდნენ

დასაწყისი მე-9 გვერდზე

ნია თამაშის შედეგზე. ჩვენს კარში ჩაითვალა გოლი, რომელიც უბრალოდ არ გასულა. ბურთს არ გადაუკვეთავს კარის ხაზი. მატჩის რეპორტაჟი საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე გადაიცემოდა და რამდენიმე რაკურსით განმეორებით ჩვენებისას, მსაჯების უხეში შეცდომა ეჭვს არ იწვევს. ხსენებულ ეპიზოდს დინამოელთა ფეხბურთელების, გიორგი ლორიასა და ლევან კაკუბავას გაფრთხილებები მოჰყვა, რომლებმაც ვერ დაფარეს უკმაყოფილება მსგავსი უსამართლობის გამო. ასევე, ეჭვს ბადებს არბიტრის ყოყმანი გადაწყვეტილების მიღებისას, როდესაც „დინამომ“ საპასუხო გოლი წესების სრული დაცვით გაიტანა. სამწუხაროა, რომ ჩემპიონატის სტარტზე გვიწევს მსაჯების გამოუსწორებელ შეცდომებზე საუბარი, — აღნიშნულია დინამოელთა განცხადებაში.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაია | 4 | 3 | 0 | 1 | 8:2 | 9 |
| 2.გაგრა | 4 | 3 | 0 | 1 | 8:4 | 9 |
| 3.დინამო | 3 | 2 | 3 | 0 | 6:3 | 7 |
| 4.მერანი | 4 | 2 | 1 | 1 | 3:3 | 7 |
| 5.ზესტაფონი | 3 | 1 | 2 | 0 | 5:4 | 5 |
| 6.მეტალურგი | 4 | 1 | 2 | 1 | 2:2 | 5 |
| 7.ვიტ ჯორჯია | 4 | 1 | 2 | 1 | 5:6 | 5 |
| 8.დილა | 3 | 1 | 0 | 2 | 4:5 | 3 |
| 9.ტორპედო | 3 | 1 | 0 | 2 | 2:3 | 3 |
| 10.კოლხეთი | 4 | 0 | 2 | 2 | 1:4 | 2 |
| 11.ცხინვალი | 4 | 0 | 2 | 2 | 1:4 | 2 |
| 12.სიონი | 4 | 0 | 2 | 2 | 2:7 | 2 |

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**



# სოფელ ქვედა სამების მოსახლეობა 20 დღეა სასმელი წყლის გარეშეა დარჩენილი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა სამების მოსახლეობა უკვე 20 დღეა სასმელი წყლის გარეშეა დარჩენილი.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ადგილობრივმა მცხოვრებლებმა აცნობეს, ასეთი პერიოდულობით სასმელი წყლის გარეშე ყოფნა მათთვის უჩვეულო არ არის და წლების მანძილზე არსებული პრობლემის მოგვარება, სხვადასხვა მიზეზის გამო, დღემდე არ ხდება.

მათივე ინფორმაციით, სოფელს წყალი ქოჩიჩას მთაზე არსებული რეზერვუარებიდან უნდა მიეწოდებოდეს, თუმცა ამჟამად სისტემა არ მუშაობს ხალვაშების, ბლადაძეებისა და კაიკაციშვილების უბნების მიმართულებით.

უწყლოდ დარჩენილია 25-მდე ოჯახი. წყალი მოსახლეობას, დადგენილი გრაფიკის მიხედვით, სამ დღეში ერთხელ მიეწოდებოდა, ამჟამად კი ასეთი გრაფიკიც მოშლილია.

მოსახლეობისთვის წყლის შეწყვეტის მიზეზად დაზიანებული სათავე ნაგებობა და წყლის მოსაკრებლის გადაუხდელობა სახელდება, თუმცა ადგილობრივები წყლის გადასახადს ყოველთვიურად აგროვებენ. სოფლის მაცხოვრებელთა თქმით, თანხის გადახდის პრობლემა არ არსებობს. მათი განცხადებით, თუ უახლოეს დღეებში სასმელი წყლის პრობლემა არ მოგვარდა, საპროტესტო აქციების მოეწყობას გეგმავენ.

ცნობილია, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფლის, მათ შორის სოფელ სამების წყალსადენის საერთო ნაგებობის, სანიტარული ზონებისა და რეზერვიუარების სარეაბილიტაციო-კაპიტალური სარემონტო სამუშაოების პასუხისმგებლობა შპს „ჰიდრომშენმა„ იტვირთა, რომელმაც ქობულეთის გამგეობის მიერ 2011 წლის თებერვალში გამოცხადებულ ტენდერში გაიმარჯვა, თუმცა მას დღემდე ნაკისრი ვალდებულებები არ შეურსულებია.

**ინტერპრესნიუსი**



# კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. დავით კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირის“ პერსონაჟი; 2. თურქეთის პრეზიდენტი; 3. დიდი ფართობის, ნოყიერი სახნავი ნიადაგი; 4. საავტომობილო საბურავების მწარმოებელი იაპონური ფირმა; 5. ნუშისებრი ჯირკვლების ანთება; 9. სამურაბე ლამბაქი; 12. ქართული ხალხური სანადიმო სიმღერა; 14. სამწვადედ გამზადებული ხორცის ნაჭრები; 15. ფულის საერთაშორისო ერთეული; 17. ყოველდღიური გაზეთი შვეიცარიაში; 18. აზროვნების უნარი, გონება.

**თარაზულად:** 6. გარდაბნის ძველი სახელწოდება; 7. პოლონელი კომპოზიტორი, ეროვნული სკოლის ფუძემდებელი; 8. პატარა მოთხრობა; 10. მუსიკოსი, მომღერალი, პოეტი შუა აზიაში; 11. საათების წარმოების ერთ-ერთი ცენტრი შვეიცარიაში; 13. რთული, სადავო საკითხის შემფასებელი, სწორი დასკვნის დამდგენი სპეციალისტი; 16. მსხლის ერთ-ერთი ჯიში; 19. ოფიციალური ცნობა საერთაშორისო მოლაპარაკების მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ; 20. პოპულარული მინერალური წყალი უკრაინის კარპატებში.

**შეადგინა თ.კოპალეიშვილმა**

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდისა და სკანვორდის პასუხები:

**კროსვორდი ა**

**თარაზულად:** 6. აპათია; 7. ლიპარიტი; 8. ატლეტი; 10. ლიფტი; 11. გიმნასტიკა; 13. კრეისერი; 16. კათეტი; 19. კლინექსი; 20. პირამიდა.

**შვეულად:** 1. აპატიტი; 2. კისტა; 3. კინეტიკა; 4. ეროტიკა; 5. სინდიკატი; 9. სატირა; 12. მარენგო; 14. რვეული; 15. სოტე; 17. ტორსი; 18. სკრა.

**სკანვორდი**

1. კინო; 2. აგგოლი; 3. კაირო; 4. კანოე; 5. ტლუ; 6. ამია; 7. რიტუალი; 8. ლა; 9. ორდე; 10. რური; 11. აბიო; 12. სკოლა; 13. ბი; 14. პენი; 15. იო; 16. ვა; 17. ავლაბარი; 18. აბრაამ; 19. რაპირა; 20. ნარი; 21. ონი; 22. ბალი; 23. ქარტია; 24. ენა; 25. არარა; 26. ტურ; 27. ლემა; 28. ალიე; 29. პარტია; 30. იოდი; 31. პარადი; 32. ფრიდრიხ; 33. კარიესი.

სურათებზე: მონიკა ბელუჩი; ხუან რამონ რიკელმე.

# ინდივიდუალური გამრიცხველიანება კიდევ 2 სოფელში დასრულდა



კომპანია „ენერგოპრო ჯორჯიამ“ ამბროლაურის რაიონის სოფელ ლიხეთსა და გორის რაიონის სოფელ რეხაში ინდივიდუალური გამრიცხველიანება დაასრულა.

სოფლების ელექტროგამანაწილებელი ქსელის მოწესრიგებისა და გამრიცხველიანებისათვის კომანიამ 171 300 ლარი დახარჯა და 571 აბონენტი ინდივიდუალურად გაამრიცხველიანა.

ინდივიდუალური გამრიცხველიანება არ გულისხმობს აბონენტებისთვის მხოლოდ მრიცხველის მონტაჟს; ეს პროცესი მოიცავს ქსელის მასშტაბურ რეაბილიტაციას, რომლის ფარგლებშიც მთლიანად იცვლება ამორტიზირებული კაბელები ახალი იზოლირებული სადენებით, ძველი ხის ბოძები ახალი რკინაბეტონის ბოძებით, რემონტდება სატრანსფორმატორო პუნქტები და მნიშვნელოვნად უმჯობესდება ქსელის ინფრასტრუქტურა. ინდივიდუალური გამრიცხველიანების სამუშაოები პარალელურად პრაქტიკულად ყველა რეგიონში მიმდინარეობს.

საქართველოს რეგიონებში არსებული ყველა აბონენტის ინდივიდუალური გამრიცხველიანება 2013 წლის ბოლოს დასრულდება.

**პრაიმ-ნიუსი**

# დღის კალენდარი

## 30 აგვისტოსთვის



**წლის 242-ე დღე, ახალ წლამდე დარჩა 123 დღე.**

### საეკლესიო კალენდარი

მე-12 შვიდეული შემდგომად მეერგასისა. სამშაბათი

მიძინების შემდგომი დღესასწაული.

ღირსისა მამისა ტბელი აბუსერისძისა, პაგიოგრაფისა და ჰიმნოგრაფისა ერისათვის თავდადებულისა (XIII); მოწამისა მირონ ხუცისა (250-254); მოწამეთა: პავლესი, დისა მისისა ივლიანასი და სხვათა (დაახლ. 273); მოწამეთა: თვრისესი, ლევკისა, კორონატისა და მოყვასთა მათთა (III); მოწამისა პატროკლესი (III); მოწამეთა: სტრატონისა, ფილიპესი, ევტიქიანესი და კვიპრიანესი (დაახლ. 303).

წმიდა მოწამე მირონ ხუცი ცხოვრობდა აქაიაში III საუკუნეში. ხუცი მეტად მოკრძალებული და გულმოწყალე ადამიანი იყო. ერთხელ ქრისტეშობის დღესასწაულზე ტაძარში, სადაც წმიდა მოწამე მირონი სწირავდა, ადგილობრივი მმართველი ანტიპატრე მხედრებთან ერთად შეიჭრა, რათა მლოცველნი შეეპყრო და საწამებლად წაეყვანა. წმიდა მირონი წინ აღუდგა მათ, რის გამოც საშინლად აწამეს, შემდეგ ქალაქ კიზიკში წაიყვანეს და თავი მოჰკვეთეს.

წმიდა მოწამენი პავლე, იულიანა და სხვანი ევნენ 273 წელს.

წმიდა მოწამენი თვიროსი, ლევკი, კორონატე და მათი მეგობრები ევნენ ბეთანიის კესარიასა და აპოლონიაში იმპერატორ დეკიუსის დროს.

წმიდა მოწამენი სტრატონი, ფილიპე, ევტიქიანე და კვიპრიანე. ევნენ ნიკომიდიაში. მმართველმა თავისთან დაიბარა წმიდანები და მას შემდეგ, რაც მათ მტკიცედ აღიარეს თავიანთი მრწამსი, ისინი ცეცხლში დაწვეს.

### დაიბადნენ:

1748 — ჟაკ ლუი დავიდი, ფრანგი ფერმწერი.

1860 — ისააკ ლევიტანი, რუსი ფერმწერი, პეიზაჟისტი.

1866 — ჟორჟ მენიე, ბელგიელი მოქანდაკე, მოდერნის„ თვალსაჩინო წარმომადგენელი.

1871 — ერნესტ რეზერფორდი, ინგლისელი ფიზიკოსი, რადიაქტივობისა და ატომის აგებულების ერთ-ერთი ფუძემდებელი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

1917 — ალექსანდრე ჯავახიშვილი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, არქეოლოგი, ხელოვნებათმცოდნე. გარდაიცვალა 1997 წელს.

1918 — ნათელა იანქოშვილი, საქართველოს სახალხო მხატვარი.

1922 — ბიძინა ავალიშვილი, მოქანდაკე.

1928 — ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი.

1933 — ვახტანგ ონიანი, მოქანდაკე და გრაფიკოსი.

1942 — ბესარიონ ჯორბენაძე, ენათმეცნიერი, აკადემიკოსი. გარდაიცვალა 1993 წელს.

### გარდაიცვალნენ:

30 — კლეოპატრა VII, ძველი ეგვიპტის უკანასკნელი დედოფალი.

1181 „ ალექსანდრე III, რომის პაპი.

1483 — ლუი XI, საფრანგეთის მეფე.

1907 — ილია ჭავჭავაძე, დიდი საზოგადო მოღვაწე, მწერალი, პოეტი.

1922 — ჟორჟ სორელი, ფრანგი ფილოსოფოსი.

### მოვლენები:

1907 წელი — წიწამურთან მოკლეს დიდი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ილია ჭავჭავაძე.

1860 წელი — ამოქმედდა პირველი ბრიტანული ტრამვაი.

1901 წელი — ჰერბერტ სესილ ბუტმა დააპატენტა მტვერსასრუტი.

1916 წელი — თურქეთმა ომი გამოუცხადა რუსეთს.

1918 წელი — ჩეხოსლოვაკია დამოუკიდებელი რესპუბლიკა გახდა.

1940 წელი — დაქორწინდნენ ვივიენ ლი და ლოურენს ოლივიე.

1941 წელი — დაიწყო ლენინგრადის ბლოკადა.

1945 წელი — დმიტრი შოსტაკოვიჩმა დაამთავრა მე-9 სიმფონია.

1951 წელი — აშშ-მ და ფილიპინებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას ურთიერთდაცვის შესახებ (თავდაცვითი პაქტი).

1960 წელი — აღმოსავლეთ გერმანიამ დაიწყო დასავლეთ ბერლინის ნაწილობრივი ბლოკადა.

1973 წელი — კენიაში აკრძალეს სპილოზე ნადირობა და სპილოს ძვლის გაყიდვა.

### ღირსსახსოვარი დღეები:

თათრეთი — რესპუბლიკის დღე

ყაზახეთი — კონსტიტუციის დღე

ავღანეთი — ბავშვთა დღე

თურქეთი — გამარჯვებისა და კონსტიტუციის დღე

**მედიანიუსი**

# გაერომ სირიის მოქალაქეების ძალადობისგან დაცვის აუცილებლობა აღიარა

გაეროს სპეციალურმა კომისიამ, რომელმაც სირიაში ადამიანის უფლებათა დარღვევების შემთხვევებს სწავლობდა, მიიღო დასკვნა სამოქალაქო მოსახლეობის ძალის გადაჭარბებული გამოყენებისაგან დაცვის შესახებ.

სირიაში მომუშავე სპეციალისტების ჯგუფმა განაცხადა, რომ ჰუმანიტარული კრიზისი ქვეყნის მასშტაბებზე ნაკლებია. გაეროს სპეციალისტების ჯგუფი სირიაში მასობრივი გამოსვლების დაწყების შემდეგ პირველად ჩავიდა.

2011 წლის მარტში დაწყებული გამოსვლებიდან დღემდე 2.2 ათასამდე ადამიანი დაიღუპა.




გაეროს უშიშროების საბჭო სირიის ხელმძღვანელობის მიმართ სანქციების გამოყენების საკითხთან დაკავშირებით ორად გაიყო.

სირია დიდი ხნის განმავლობაში გაეროს მისიის მიღებაზე უარს ამბობდა. დამასკო საერთაშორისო ორგანიზაციების თანამშრომლობის სტუმრობას მხოლოდ გასულ კვირას დათანხმდა და მათ ყველა ობიექტზე დაუბრკოლებლად შესვლის შესაძლებლობას დაპირდა.

გაეროს წარმომადგენელმა ფარხან ჰაკმა განაცხადა, რომ მთელი ქვეყნის მასშტაბით ჰუმანიტარული კრიზისის არარსებობის მიუხედავად, ძალის ჭარბი გამოყენებისაგან სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის მწვავე აუცილებლობა არსებობს.

მისი თქმით, სირიის მთავრობამ არ შეასრულა დაპირება გაეროს მისიის დაუბრკოლებლად მუშაობის შესახებ.

მისიის თანამშრომლების გვერდით მთავრობის წარმომადგენლების მუდმივად ყოფნამ სიტუაციის სრული და დამოუკიდებელი შეფასების შესაძლებლობა შეზღუდა.

გაეროს მისიის წარმომადგენლების თქმით, ანტისამთავრობო გამოსვლების რაიონებში ადგილობრივი მოსახლეობა აცხადებდა, რომ ისინი უკიდურესად არიან დაშინებული, მათ სიცოცხლეს კი მუდმივი საფრთხე ემუქრებოდა.

სირიის პრეზიდენტ ბაშარ ასადის მოწინააღმდეგეთა გამოსვლები მიმდინარე წლის მარტის შუა რიცხვებში დაიწყო. გამოსვლებმა ქვეყნის მრავალი რაიონი მოიცვა.

ქვეყნის ლიდერმა ამ რაიონებში ტანკები და ჯარები გაგზავნა, მაგრამ საპროტესტო აქციები მაინც გრძელდებოდა.

მთავრობამ მათ ორგანიზებაში შეიარაღებული ბანდები დაადანაშაულა.

ადამიანის უფლებათა დაცვის აქივისტების თქმით, მღელვარების დროს 500-მდე ჯარისკაცი დაიღუპა, ათასობით ადამიანი დააპატიმრეს.

უცხოელი ჟურნალისტების უმეტესობას სირიაში შესვლა აკრძალული ჰქონდა, რამაც აქედან გავრცელებული ინფორმაციის დადასტურება გაართულა.

ანტისამთავრობო გამოსვლების მონაწილეთა თქმით, ათასობით ადამიანმა კვლავ მიიღო გამოსვლებში მონაწილეობა. სამი ადამიანი დაიღუპა.

გაეროს უშიშროების საბჭოში სირიის მიმართ საერთაშორისო საზოგადოებრიობის მიერ გადასადგმელი მოსალოდნელი ნაბიჯების შესახებ ცხარე დებატები გაიმართა.

რუსეთმა, გარდა ამისა, ქვეყნების ჯგუფმა აშშ-ის, საფრანგეთის, ბრიტანეთის, გერმანიის და პორტუგალიის შემადგენლობით სირიასთან დაკავშირებით რეზოლუციის ორი განსხვავებული პროექტი წარადგინეს.

რუსული ვარიანტი სირიის ხელისუფლებას რეფორმების დაჩარებისაკენ მოუწოდებს, ოპოზიციას კი ხელისუფლებასთან დიალოგს ურჩევს.

აშშ-ის და ევროკავშირის მიერ წარდგენილი პროექტი პრეზიდენტ ბაშარ ასადის უცხოური აქტივების გაყინვისაკენ და სირიისათვის იარაღის მიწოდების ემბარგოსაკენ მოუწოდებს. გაეროში მომუშავე ჟურნალისტების თქმით, გაურკვეველია, თუ როდის გაიტანენ ამ პროექტებს კენჭისყრაზე.

**გ.თ.**

# სამგლოვიარო განცხადებები

მეუღლე ჯემალ კახაძე, შვილები სოფიო და ირაკლი, შვილიშვილები საბა და ალექსანდრე კახაძეები, ძმები ფრიდონ და ავთანდილ თოდუები, რძლები თათული შენგელაია და ეკა ბალანჩივაძე, ძმისშვილი ნინო თოდუა იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ნაილი თოდუა**

პანაშვიდი 28, 29 აგვისტოს, 16 საათზე. ჭავჭავაძის გამზ. №19, სად. III.

გამოსვენება 30 აგვისტოს, 15 საათზე, საბურთალოს ამაღლების ეკლესიიდან.

---

დალი, ირინე, ინა, ვახტანგ გაჩეჩილაძეები თანაგრძნობას უცხადებენ უახლოეს ნათესავს რამაზ ჩხიკვაძეს მეუღლის, დიდებული ქალბატონის

**ნატაშა ჩხიკვაძის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

პოლიტიკური გაერთიანება „ეროვნული ფორუმი“ თანაუგრძნობს ნერონ თარაიას ოჯახს დედის

**ბედიშა თარაიას**

გარდაცვალების გამო.

---

შვილი თენგიზ (თეგა) ლომთაძე და ფუჩქი, დისშვილი ვალერი დუმბაძე, ბიძაშვილები, მამიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**მარინა ბრეგაძე**

პანაშვიდი: 30, 31 აგვისტოს, 17 საათზე.

დაკრძალვა: 1 სექტემბერს, 14 საათზე.

მისამართი: თევდორე მღვდლის 10, VII სადარბაზო, ბინა 44.

---

შუშანა, თენგიზ, მარინა, ნარგიზა, გიორგი და თორნიკე ლომთაძეები თანაგრძნობას უცხადებს თენგიზ (თეგა) ლომთაძეს დედის

**მარინა ბრეგაძის**

გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს ლეიბორისტული პარტია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ზესტაფონის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელის გიორგი გოგლიჩიძის ბიძის

**ჯემალ გოგლიჩიძის**

გარდაცვალების გამო.

ლეიბორისტული პარტია სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახსა და ახლობლებს.

---

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12–დან 17 საათამდე.**

# ლიბიის სამოქალაქო ომში ბავშვებიც არიან ჩართული



ლიბიის სამოქალაქო ომში ბავშვებიც არიან ჩართული. ისინი ამბოხებულებს სხვადასხვა სახის დახმარებას უწევენ.„ბი-ბი-სი“-ს ცნობით, შეშფოთება ამის შესახებ საქველმოქმედო ფონდმა შავე ტჰე ჩჰილდრენ გამოთქვა. ორგანიზაციის განცხადებით, ბავშვები ლიბიაში იარაღის შენახვით არიან დაკავებულები და ამბოხებულებს ბრძოლის ხაზზე წყლითა და სხვა საჭირო ნივთებით უზრუნველყოფენ.

ამას გარდა, ბავშვები საკონტროლო გამშვებ პუნქტზეც პატრულირებენ. ფონდის ერთ-ერთი თანამშრომლის ინფორმაციით, ამ ბავშვების ბედი საფრთხის შემცველია, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ამ საქმით ნებაყოფლობით არიან დაკავებულები.

**ინტერპრესნიუსი**

# ესტონეთის პრეზიდენტმა ტომას ჰენდრიკ ილვესმა თანამდებობა შეინარჩუნა

ესტონეთის პრეზიდენტმა ტომას ჰენდრიკ ილვესმა თანამდებობა შეინარჩუნა.

საპრეზიდენტო არჩევნებში, რომელიც რესპუბლიკის პარლამენტში დღეს გაიმართა, მოქმედ პრეზიდენტს 101 დეპუტატიდან აუცილებელი 68-ის ნაცვლად, 73-მა მისცა ხმა, მის მოწინააღმდეგე ინდრეკ ტარანდს კი — მხოლოდ 25-მა.

ესტონეთი საპარლამენტო რესპუბლიკაა და პრეზიდენტი ძირითადად წარმომადგენლობით ფუნქციას ასრულებს. მას 5-წლიანი ვადით ირჩევენ.

ტომას ილვესი სტოკჰოლმში ემიგრანტების ოჯახში დაიბადა. მოგვიანებით მისი ოჯახი საცხოვრებლად აშშ-ში გადავიდა. 1980-იანი წლების მეორე ნახევარში ილვესი რადიოსადგურ „თავისუფალ ევროპაში“ მუშაობდა, მოგვიანებით კი დიპლომატიურ სამსახურში გადაინაცვლა. იყო ესტონეთის ელჩი აშშ-ში, კანადასა და მექსიკაში, 1990-იანი წლების ბოლოს კი ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობა დაიკავა.

ესტონეთის პრეზიდენტად ილვესი პირველად 2006 წლის ოქტომბერში აირჩიეს.

**პირველი**

# TV პროგრამა

## სამშაბათი 30 აგვისტო

06.30 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 დოკ. ფილმი "დაკარგული პირამიდა" 08.30 ან. ფილმი "ჯუმანჯი" 09.00 სათავგად. ფილმი "**შავწვერა**" 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 19.00, 20.00 მოამბე 12.30 საფეხბურთო მიმოხილვა 13.30 ალმოაჩინე საქართველო 14.00 დოკ. ფილმი "რაგბიში მსოფლიოს ჩემპიონატის კლასიკური მატჩები" 15.00 სერ. "**კრიმინალური სეზონი**" 17.00 ან. ფილმი "ჯუმანჯი" 18.00 ჩვენი ფერმა 18.30 დამზადებულია საქართველოში 19.05 დოკ. ფილმი "უძველესი აღმოჩენები" 21.00 სერ. "**კრიმინალური სეზონი**" 22.00 ქართული დოკუმენტალისტიკა 23.00 მხ. ფილმი "**სიყვარული და სხვა უსიამოვნებანი**" (ა) (ს. ჯ. პარკერი) 01.00 მოამბე 01.20 აუდიტორია 02.20 მხ. ფილმი "**ზირთვი**"

08.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00 ბრიფინგის დროით 10.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00, 16.00 დოკ. ფილმი 14.00 საუკუნის პორტრეტები 17.00 მეხსიერება 19.00 დოკ. ფილმი "სამყარო" 20.00 მხ. ფილმი "**ფილდერის არჩევანი**" 22.00 დოკ. ფილმი "სამყარო" 01.00 მხ. ფილმი "**უკან დედამიწაზე**"

08.00 კურიერი 08.30 ან. ფილმი "ტრანსფორმერები" 08.40 ან. ფ. "ეშმაკური ლიგა" 09.00 სერ. "**კლუბი**" 10.00 სერ. "**ცოდვილი**" 11.00 სერ. "**მიმნდობელი**" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.00 კურიერი 12.30 სერ. "**მაშველები**" 13.30 ქართ. ფილმი "**ჭირვეული მეზობლები**" 15.40 ვანოს შოუ (გან.) 17.00 სერ. "**ავრორა**" 18.45 ამერიკის სასაცილო ვიდეოები 19.45 სერ. "**ახალგაზრდა ქვრივი**" 21.50 ეროვნული ლატარეა 22.00 თქვენი შოუ 00.00 ექსტრემალური შეჯიბრებები 02.00 მხ. ფილმი (სუბტ.)

08.00 ან. ფილმი "ბარბი: გედების ტბა" 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 02.50 ქრონიკა 09.15 ან ფილმი "სპანჯბობი" 09.40 სერ. "**ჰანა მონტანა**" 10.00 სერ. "**ლამაზი სიცოცხლე**" 11.40 სერ. "**სიყვარულის ზღვა**" 12.50 სერ. "**ფული და სექსი**" 14.30 ტვ-მარკეტი 14.40 ღამის შოუ (გან.) 16.00 სერ. "**მეტოქეები**" 17.40 სერ. "**სიყვარულის ზღვა**" 18.40 სერ. "**როცა სიყვარული მოდის**" 21.00 სერ. "**დამალული სიმართლე**" 22.00 სერ. "**შუა ქალაქში**" 23.00 ნანუკას შოუ 00.15 ფეის-კონტროლი ბათუმში 01.20 მხ. ფილმი "**საიდუმლო სია**" (15) (ჰ. ჯეკმანი) (სუბტ.) 03.30 მხ. ფილმი "**ოთხი ოთახი**" (15) (ა. ბანდერასი) (სუბტ.) 05.25 მხ. ფილმი "**კრისტი**" (სუბტ.)

08.00 მხ. ფილმი 10.00 სერ. "**ჩემი შეყვარებული**" 11.00 ანიმაცია "შეჰერაზადა" 12.00, 15.15, 17.00 ტვ-მარკეტი 12.15 სერ."**დაკარგული ქვეყანა**" 13.00 მხ. ფილმი 15.30 იმედის ფსონი (პირდ.) 16.20 გადაცემა "გუნდი" 17.10 სერ. "**ტყუპები**" 18.00 მხ. ფილმი 20.00 სერ. "**ელიზა**" 21.00 სერ. "**გაუხსნელი საქმე**" 22.00 მხ. ფილმი 00.00 მხ. ფილმი

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.00, 23.40 სერ. "**სოფია, ცოტა მადროვე**" 10.30 დოკ. ფილმი "ილუზიონისტები" 10.40, 16.00 სახლი ბათუმში 11.10, 14.10, 17.10 ინგლისურის გაკვეთილი 11.40, 15.00, 18.00 თურქულის გაკვეთილი 11.50, 21.00 სერ. "**სენიორა პრეზიდენტი**" 12.50, 19.35 სერ. "**მოსკა და სმიტი**" 15.15 სერ. "**განებივრებული ლამაზმანი**" 16.00 სახლი ბათუმში 16.30 დროის ვექტორი 18.15 დოკ. ფილმი "ილუზიონისტები" 00.30 მხ. ფილმი

**ერთსულოვნება** 08.30 განთიადი 10.05, 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 10.25 დოკ. ფილმი "თეატრი და ცხოვრება" 10.40 დოკ. ფილმი "უმორჩილესად გთხოვთ" 11.30 ერთსულოვანი ოჯახი 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00 საეკლესიო კალენდარი 12.15 მხ. ფილმი "**დაგვიანებული სასიძო**" 13.20 კონცერტი – ანს. "მძლევარი" 15.05 ახალი აღთქმის განმარტებანი 15.25 მხ. ფილმი "**პრემიერა**" 17.00 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 17.25 ირაო 18.05 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 18.15 "დიდ ხარ შენ უფალო" 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.15 მხ. ფილმი "**ნერგები**" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 სადვთისმეტყველო საუბრები 22.25 მგზავრები წუთისოფლისა 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დროის ჩანაწერები 00.30 დოკ. ფილმი "დიდი ტბელი მობრძანდება" 00.55 კონცერტი – ენიო მორიკონე

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**30 აგვისტო**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,6483 |
| ევრო | 2,3815 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 2,7208 |
| რუსული რუბლი | 0,057 |

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 18-25, ღამით — 11-15

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 28-32, ღამით — 29-23

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 29-25, ღამით — §-14

## ამინდის პროგნოზი 30 აგვისტოსთვის





# ორშაბათიდან ორშაბათამდე!

ჟურნალი

ფასი: 69 თეთრი

## გუმბათი

**ია ანთაძე: „პირველი ზიარება შუამთის მონასტერში მივიღე“**

**ნინო ბურიელი პოლიტიკაში მიდის**

**რუსუდან კერვალიშვილი: „დილით რომ ვიღვიძებ, მინდა, მეეზოვეებს ხელზე ვაკოცო“**





# ბორჯღალოსნები მსოფლიოს თასს მე-16 ადგილით ხვდებიან

რაგბიში მსოფლიო თასის მეშვიდე გათამაშების დაწყებამდე 10 დღით ადრე, ახალი რეიტინგი გამოქვეყნდა და მასში ცვლილებები მხოლოდ ახალ ზელანდიაში გამართული ჯახების შემდეგ მოხდება.



როგორც მოსალოდნელი იყო, ბოლო რეიტინგიდან გამომდინარე ცვლილება არ შეხებია საქართველოს ნაკრებს და 70,30 ქულით კვლავაც მე-16 პოზიციაზეა. ბორჯღალოსნებს დაქვეითება არც მსოფლიო თასის შემდეგ ემუქრებათ, თუმცა წარმატებული თამაშის შემთხვევაში შანსი აქვს რამდენიმე პოზიციით აიმაღლოს. საამისოდ კი ერთი სენსაციური გამარჯვებაც საკმარისი იქნება.

რაც შეეხება ჩვენს მეტოქეებს მსოფლიოს თასზე: ჯგუფში სამი ყველაზე გამორჩეული გუნდი გვყავს — ინგლისელებს მეხუთე ადგილი უკავიათ, შოტლანდიელებს — მეშვიდე და არგენტინელებს — მეცხრე. როგორც ხედავთ, მეტოქეები საკმაოდ მძლავრად გამოიყურებიან. რაც შეეხებათ რუმინელებს, ისინი ჩვენს ქვევით, მე-17 ადგილზე არიან, თუმცა საკმაოდ სოლიდური სხვაობით — 4,61 ქულით ჩამოგვრჩებიან.

საუკეთესო 15 გუნდის რეიტინგი კი ასე გამოიყურება: 1.ახალი ზელანდია — 90,55; 2.ავსტრალია — 88,84; 3.სამხრეთ აფრიკა — 85,69; 4.საფრანგეთი — 83,78; 5.ინგლისი — 82,89; 6.უელსი — 80,79; 7.შოტლანდია — 78,83; 8.ირლანდია — 78,50; 9.არგენტინა — 78,40; 10.სამოა — 74,54; 11.იტალია — 73,88; 12.ტონგა — 72,48; 13.იაპონია — 71,95; 14.კანადა — 71,56; 15.ფიჯი — 70,83.

# საბერძნეთში რუსი იარაღით მოვაჭრე დააპატიმრეს



რუსეთის მოქალაქე საბერძნეთის პოლიციის თანამშრომლებმა კოლუმბიური მეამბოხე დაჯგუფება „ფარქ“-სათვის კალაშნიკოვის ავტომატების მსხვილი პარტიის მიწოდებასთან კავშირის ეჭვით დააკავეს.

ეჭვმიტანილი საბერძნეთის ჩრდილოეთით, ხალკიდიის ნახევარკუნძულზე მდებარე სასტუმროში დააკავეს,სადაც იგი დასასვენებლად ჩავიდა.

მისი ვინაობა გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე არ გაუმხელიათ. ცნობილია, რომ დაკავებული 48 წლისაა და იგი წარმომავლობით უზბეკეთიდანაა.

მისი დაპატიმრების საერთაშორისო ორდერი პერუს ხელისუფლების მოთხოვნით გაიცა. პერუელების ვარაუდით, იგი მათი სახელმწიფოს წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულშია გარეული.

საბერძნეთის პოლიციის განცხადებით, დაკავებული კოლუმბიის რევოლუციური შეიარაღებული ძალებისათვის 10 ათასი კალაშნიკოვის ავტომატის მიყიდვის საქმეშია გარეული. ეს გარიგება 1999 წელს მოხდა და ავტომატების პარტია სირიაში შეიძინეს.

სავარაუდოდ, სისხლის სამართლის საქმე კოლუმბიის მეამბოხეებისათვის პერუელი კორუმპირებული ჩინოსნების საშუალებით იარაღის მიწოდებასთან არის დაკავშირებული.

2006 წელს პერუს სასამართლომ ამ საქმესთან დაკავშირებით ქვეყნის იმჟამინდელი პრეზიდენტის უახლოეს თანაშემწეს, სპეცსამსახურების უფროსს და გარიგების მოტივეს ვლადიმირო მონტესინოსს 20 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

მონტესინოსი ვენესუელაში 2001 წელს დააკავეს. გარდა იარაღით უკანონო ვაჭრობისა, მას პერუს დედაქალაქ ლიმაში 15 ადამიანის მკვლელობისა და კორუფციის ბრალდებებიც წაუყენეს.

გ.თ.

## ყველამ გაითვალისწინეთ!

## ასტროპროგნოზი 30 აგვისტოსთვის

### წარმატებული დღეა

**ვერძი** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **კურო** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **ტყუპები** — ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ. **კირჩხიბი** — სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **ლომი** — ახალი პროექტი გაამართლებს, გახარებული ხართ. **ქალწული** — თქვენი საქმე კარგად მიდის, ბედი გწყალობთ. **სასწორი** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **ღრიანკალი** — საკითხი კარგად გააანალიზეთ და ისე იმოქმედეთ. **მშვილდოსანი** — არ დაივიწყოთ მეგობრები, მათ თქვენი დახმარება სჭირდებათ. **თხის რქა** — არ აყვეთ ჭორებს, თავს მიხედეთ. **მერწყული** — ჰარმონიული დღეა, საქმეს კარგად გაუძლვებით. **თევზები** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 2. ჭაობებთან ბინადარი ფრინველი; 3. ოლქი ესპანეთში, ზეთისხილის უმსხვილესი მწარმოებელი; 4. ქართველი კარიკატურისტი მხატვარი; 5. მეფეთა რეზიდენცია საფრანგეთში; 8. პოლონელი კომპოზიტორი, პიანისტი; 9. ქართველი პოეტი ქალი; 12. სამხედრო საზღვაო პოლიგონი საქართველოში; 14. მუსლიმანთა ყოველდღიური ლოცვა, რომელიც დღეში ხუთჯერ სრულდება; 16. ბრაზილიელი მწერალი.

**თარაზულად:** 1. საეკლესიო წესით ქორწინება; 6. სოფოკლეს ტრაგედია; 7. მათხოვარი, მაწანწალას სახელწოდება საფრანგეთში; 9. კამეჩის ნაშიერი; 10. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 11. იურიდიულად გაფორმებული სავალო ხელწერილი, თამასუქი; 13. ღვინის სასმისი; 15. მდინარე ტოკიოში; 17. შეუკმაზავად, მშრალად მოხარშული ძროხის ან ცხვრის ხორცი; 18. ცეცხლსასროლი იარაღის მწარმოებელი იტალიური ფირმა; 19. ჩრდილო ამერიკაში გავრცელებული დიდი დათვი; 20. პარიზის ძველი სახელწოდება.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა



## იუმორი



***

ლექციაზე:

— ადამიანის უმნიშვნელოვანეს ორგანოს წარმოადგენს ზედა სასუნთქი გზები. მათ თუ გადავკეტავთ, რა მოხდება?

— ქვედა სასუნთქი გზები ამოქმედდება...

***

— კრიმინალური დაჯგუფების ორგანიზება ვისაც შეუძლია, მთავრობის ორგანიზებასაც შეძლებს...

***

— კოლუმბიის დედაქალაქ ბოგოტას აეროპორტში დააკავეს მოქალაქე, რომელიც საკუთარი ძალებით გაფრენას ცდილობდა...

***

მაღაზიაში:

— მაპატიეთ, მაგრამ ხურდა არ დაგიბრუნებიათ.

— მიპატიებია...

***

— შენს ძაღლს რა ჰქვია?

— არ ვიცი, არ უთქვამს...

## გაინტერესებთ თუ არა კარიერა

## ტესტი



*1. ხვალ უკვე შვებულებაში გადიხართ, ბევრი საქმე გაქვთ, შეფმა კი საჩქარო საქმე დაგავალათ. როგორ მოიქცევით:*

ა. მოითხოვთ, საქმე სხვას დაავალონ. ბ. გამგზავრებას რამდენიმე დღით გადადებთ. გ. მთელი ღამე იმუშავებთ და საქმეს მაინც გააკეთებთ.

*2. მაღალი ანაზღაურების ვაკანსიაზე რამდენიმე ადამიანი აცხადებს პრეტენზიას. როგორ მოიქცევით.*

ა. მშვიდად. ბ. თქვენ რეკლამა არ გჭირდებათ. გ. ყველას დაუმტკიცებთ, რომ სხვაზე უკეთესი ხართ.

*3. თქვენს მეუღლეს კლასიკური მუსიკა მოსწონს, თქვენ მსუბუქი. როგორ მორიგდებით.*

ა. მეუღლეს არ შეაწუხებთ. ბ. შეეცდებით შეიყვაროთ კლასიკური მუსიკა. გ. შეეცდებით მეუღლეს მსუბუქი მუსიკა შეაყვაროთ.

*4. პოლიცია იმ დანაშაულის მოწმეს ეძებს, რომელსაც თქვენ შეესწარით. გამოცხადდებით თუ არა პოლიციაში.*

ა. არა. ბ. არა, რადგან არ იცით, ზუსტად რა მოხდა. გ. აუცილებლად.

*5. სასწრაფოდ უნდა დარეკოთ, ერთადერთ ავტომატთან კი რიგია. როგორ მოიქცევით.*

ა. ინერვიულებთ, მაგრამ რიგში ჩადგებით. ბ. სთხოვთ რიგში მდგომთ წინ გაგატარონ. გ. ყურადღებას არავის მიაქცევთ და ყურმილს ხელს სტაცებთ.

*6. ქუჩაში ვიღაცას შეეჯახეთ. თქვენი რეაქცია:*

ა. არცთუ სახარბიელო კომპლიმენტით შეამკობთ. ბ. ცივად მოუხდით ბოდიშს. გ. „ხდება ხოლმე“.

*7. კამპანიაში შეხვდით ადამიანს, რომელმაც დაგაინტერესათ. როგორ მოიქცევით:*

ა. თვითდინებით მიუშვებთ სიტუაციას. ბ. შეეცდებით დაუახლოვდეთ. გ. მაშინვე საუბარს გაუბამთ.

### პასუხები

*პასუხები შეაფასეთ ა — 1 ქულა. ბ. 2 — ქულა. გ. 3 — ქულა.*

**7-10 ქულა:** კარიერაზე საერთოდ არ ფიქრობთ, ცდილობთ ყურადღება არ მიიქციოთ. სხვისი წარმატება და სახელი არ გშურთ.

**11-14 ქულა:** დროდადრო ოცნებობთ სამსახურში წარმატების მიღწევის, დაწინაურების შესახებ, მაგრამ მხოლოდ ოცნებობთ.

**15-18 ქულა:** სამსახურებრივი მოვალეობები მძიმე ტვირთად არ მიგაჩნიათ. მუშაობა სიამოვნებას განიჭებთ, წარმატების მიღწევა მნიშვნელოვან მიზნად დაგისახავთ.

**19-21 ქულა:** პატივმოყვარე ოპტიმისტების რიცხვს განეკუთვნებით, ხართ კარგი ორგანიზატორი, ვინც კარგად იცის, რა სურს და რას უნდა მიაღწიოს.